

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენის ინსტიტუტი
ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities
Institute of the Georgian Language
Scientific Research Centre of Kartvelian Onomastics

სამეცნიერო სესია

მიძღვნილი პროფესორ ფარნაოზ ერთელიშვილის ხსოვნისადმი

Scientific Session

Dedicated to the Memory of Professor Pharnaosz Ertelishvili



მასალები / PROCEEDINGS

28.02.2022

სესიის საორგანიზაციო კომიტეტი:

ნანა გაფრინდაშვილი – პროფესორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

დარეჯან თვალთვაძე – პროფესორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრის ხელმძღვანელი;

გიორგი ქიტოშვილი – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი;

რამაზ ქურდაძე – პროფესორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტისა და ამავე ინსტიტუტის ახალი ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელი.

The Organizing Committee of the Session:

Nana Gaprindasvili – Professor, The dean of the Faculty of Humanities at the TSU;

Darejan Tvaltvadze – Professor, Head of the Chair of the Old Georgian Language and Textological Researches at the Faculty of Humanities at the TSU;

Giorgi Kitoshvili – Head of the Scientific Research Centre of Kartvelian Onomastics at the Georgian Language Institute at Faculty of Humanities of TSU;

Ramaz Kurdadze – Professor, Head of the Institute of the Georgian Language and the Chair of the New Georgian Language at the Faculty of Humanities at the TSU.

მასალებში დაცულია ავტორების სტილი.

Authors' style is retained in the Proceedings.

დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა სახელ-გვარები

David Kldiashvili's Character Names

გიორგი გოგოლაშვილი

Giorgi Gogolashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Arnold Chikobava Institute of Linguistics

საკვანძო სიტყვები: ენა, მწერალი, პერსონაჟი, სახელი, გვარი

Key words: language, writer, character, Christian name, surname

კლასიკურ მწერლობაში პერსონაჟთა სახელ-გვარების შერჩევა არ ჩანს მექანიკური (მარტივი) პროცესი. პერსონაჟის ბუნება-ხასიათისა და მისი საკუთარი სახელ-გვარის ურთიერთმიმართება უაღრესად საინტერესო თემაა. მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის ბუნება-თვისებები განსაზღვრავს სახელ-გვარის პოპულარობასაც; ეს ცნობილი ამბავია; ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება; თუნდაც ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ პერსონაჟის სახელი – ლუარსაბი.

რატომ შეარჩია ლუარსაბი; წინ რა პროცესი უძღოდა ამ პერსონაჟის სახელის შერჩევას და ავტორი იდგა თუ არა არჩევანის წინაშე, ძნელი სათქმელია; მაგრამ ფაქტია, **ლუარსაბს** ისე „მოერგო“ თავისი სახელი, სხვისთვის ველარც დაგვირქმევია...

ჩვენ კლასიკური მწერლობის პერსონაჟები გვინტერესებს; არ ვსაუბრობთ ე. წ. „მეტყველ სახელ-გვარებზე“, დავით კლდიაშვილთან არა გვაქვს ისეთი „მეტყველი სახელ-გვარები“, როგორც ეგნატე ნინოშვილთან (მუნჯაძე, უიშვილი, ძალაძე, დროიძე, მკლავაძე, მცირიშვილი...), ან გიორგი წერეთელთან (ფულავა, წარბა, ჯიბიაშვილი...).

დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, იმერეთში გავრცელებული სახელ-გვარებია გამოყენებული: პლატონი, კირილე, არისტო, ჯიმშერი... მელანო, დარიკო, ელენე... (თითქოს „სახასიათო“ სახელია ბეკინა, მაგრამ არც მთლად „მეტყველი“ – არ ჩანს მოტივაცია). დ. კლდიაშვილთან გვარებიც ჩვეულებრივია: სამანიშვილი, მიმინოშვილი, ბრეგაძე, ქამუშაძე... (ცნობარებში არ მოიძებნა გვარი „სალობერიძე“, მაგრამ მის არარეალურობაზე საუბარი ამ არგუმენტით არ შეიძლება – ჯიმშერი არ უნდა იყოს ის პერსონაჟი, რომლის გვარი საგანგებოდ შექმნილიყო, მოტივირებული იყოს)... ასე რომ, პერსონაჟისათვის სახელ-გვარის შერჩევას თითქოს რაიმე პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს დ. კლდიაშვილისათვის, მაგრამ არ ჩანს ასე...

საინტერესო ამბავს გვიყვება სერგო კლდიაშვილი:

„საიდან წარმოდგა გვარი **„მორბელაძე“**; დავითის მონათხრობს იგონებს:

„– სოფელში ჩავედი დედაჩემის სანახავად, – მიაშობს მამა. – ოთახში ვზივარ! მესმის დედა აივნისა და ვილაცას ელაპარაკება. მეც ვავედი. ეზოში, აივნის წინ, შუა ხნის მამაკაცს ვხედავ. ცხენზე ორი მორჩილა ტომარა შემოუკრავს და თითონაც ჯდება. – ვინ იყო? ვკითხე დედას, როცა უცნობი წავიდა“. სიმინდი ითხოვა, შვილო, მორბელაძეა დაბლა კუთხიდან“... **მოთხრობა მოფიქრებული მქონდა, ოღონდ გვარი ვერ მოვნახე** და ეს მანვალეობა. წერას მიშლიდა. **ეს გვარი მეოცა**

რატომღაც, „მორბედაძე“ შევცვალე „მორბელაძედ“, გვარმა სახელიც მოათრია და ამის შემდეგ მოთხრობაც ადვილად დაიწერა. მუშაობა კი არა, უდიდესი სიამოვნება იყო!”

ერთი შეხედვით, მწერლის მიერ შეტანილი „შესწორება“ ამ შემთხვევაში თითქოს მხოლოდ ფონეტიკური ხასიათისაა, კეთილხმოვნების პრინციპით ნაკარნახევი... არ ჩანს სარწმუნო (ასეც ფიქრობენ), თითქოს „მორბელაძე“ სირბილთან ასოცირდებოდეს (ამ ასოციაციისათვის შეცვლა არ იყო საჭირო – მორბედაძეც გამოდგებოდა; იმ არეალში სირბილაძეც რეალური გვარია)... მორბედაძეც და მორბელაძეც რეალური იმერული გვარებია. „სოლომანი“ რატომ „მოათრია“ მორბელაძემ (და არა სხვა სახელი)? რა აქვს ამ სახელ-გვარს ისეთი, ამ პერსონაჟს ასე რომ „მოერგო“, ასე რომ შეეფერებოდა („ნება რომ დართო მწერალს“ წერისა!)? და რასაც ასე ეძებდა მწერალი? – ჩვენგან პასუხგასაცემად ძნელი კითხვაა; ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ამოუხსნელია...

სახელ-გვარების თვალსაზრისით საინტერესო ვითარებაა „სამანიშვილის დედინაცვალში“...

შემონახულია ამ მოთხრობის ადრეული მოკლე ვარიანტი: „ძილი მოსვენება“ (პლატონის სიზმარი). ამ ვარიანტში გამოყვანილ პერსონაჟთა სახელ-გვარები სხვაობს მოთხრობის ბოლო ვარიანტთან:

პირველ ვარიანტში **ბეკინას** ჰქვია **ბეჟანი**,

პლატონს – **არჩილი**,

დარიკოს – **ქრისტინა**.

კირილეს ნაცვლად **ლევანია** გამოყვანილი (მაზლი დარიკოსი)...

სხვა პერსონაჟები არ ჩანს ამ მოკლე ვარიანტში...

სამანიშვილები სანებლიძეები არიან. არადა, თითქოს ეს ორივე გვარი ჩვეულებრივი იმერული გვარებია... ასევე ჩვეულებრივი ქართული სახელებია **პლატონი** და **არჩილი**, **დარიკო** და **ქრისტინა**, **კირილე** და **ლევანი**... თითქოს რაღაც „სახასიათო“ იერი დაჰკრავს სახელს ბეკინა, თუმცა მაინც გაუმჭვირვალეა (არადა, **ბეკინას** პროტოტიპს **ივანე** რქმევია, – სერგო კლდიაშვილი იგონებს)...

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია სერგო კლდიაშვილსაგან: „ქამუშაძის გაჭირვების“ ხელნაწერი არ შენახულა. გადარჩა მხოლოდ რამდენიმე ფურცელი... ეს ფურცლებიც ადასტურებენ, რომ მოთხრობის რამდენიმე ვარიანტი არსებულა. მაგალითად ერთ ხელნაწერში **„ეკვირინეს“** ჰქვია **„ეფემია“**, მეორეში **„ბარბალე“**; **ქამუშაძეები ქამუშაშვილები** ყოფილან; ხოლო ნაწარმოებს პირველ სათაურად ჰქონია **„გამოსაცვლელი ცხოვრება“**... **ეკვირინე – ეფემია – ბარბალე**...

ქამუშაძე – ქამუშაშვილი... „ქამუშაძის გაჭირვება“ „გამოსაცვლელი ცხოვრება“... (ქამუშაძეები ცნობილი გვარია იმერეთში; ქამუშაშვილი გამოგონილი გვარი ჩანს (ასოციაცია – მუშა?)...

სხვა შემთხვევაშიც ასეა: მოთხრობა „წრფელი გულის“ პერსონაჟი „ბაბო“ პირველ ვარიანტში „სარალიძე“ იყო, საბოლოო ვარიანტში „გარაყანიძე“ შეცვალა... ორივე საკმაოდ გავრცელებული გვარია იმერეთში...

რა შეიძლება ვთქვათ? რა არის მოტივი ამგვარ ცვლილებათა?..

ძნელი სათქმელია...

პერსონაჟის ბუნება-ხასიათთან გამომდინარე დავით კლდიაშვილი სახელ-გვარს „აზომებს“, „ასინჯებს“, „არგებს“ პერსონაჟს; როგორც აზნაურები იტყვიან იმერეთში, სახელ-გვარი ტიპს „შემონკეპილი“ უნდა ჰქონდეს, კარგად მორგებული, უნდა უხდებოდეს... დიახ, პერსონაჟს სახელ-გვარი საკუთარი უნდა ჰქონდეს, „ნათხოვარივით“ არ უნდა ჩანდეს...

როგორც იგონებენ, დავითი კლასიკური მუსიკით, კერძოდ ოპერით, დიდად ყოფილა გატაცებული... „ეს აღტაცება ოპერით, საერთოდ მუსიკით, ბოლომდე შერჩა“... ანდა: „დავითს შეუძლია მთელი დღე მუსიკას უსმინოს. დახუჭავს თვალებს და უსმენს“... – ამას სერგო კლდიაშვილი დაწერს შემდეგ...

დავით კლდიაშვილი სიტყვის დიდოსტატია... ოთარ ჩხეიძეს თუ ვერწმუნებით, „სიტყვა სიმღერაა, ღალადისია. გალობაა, მუსიკაა...“

როგორც ჩანს, დავითს „ესმის“ ის „მუსიკა“, სახელ-გვარიდან რომ „მოდის“... სწორედ ეს მიესადაგება პერსონაჟის ბუნება-ხასიათს... სახელ-გვარის შერჩევა მარტივად არ ხდება...

ისე ამ თვალსაზრისითაც დავითის ხელნაწერებისა და, საერთოდ, ნაწარმოებების შესწავლა საინტერესო მასალას გამოავლენს.

დასკვნა?

შევძლებთ კი ყოველივე ამის ამოხსნას? – მეეჭვება... ეს იცის მხოლოდ მწერალმა... და შეიძლება არც მან... ალბათ მხოლოდ იმან, „ვინც შთაგონებით გვწყალობს“ (ანა კალანდაძე)... (ქ-ნი ანა ამასაც ამბობს: „დროზე წერტილის დასმას“, სათქმელის დროზე დამთავრებასაც თითქოს „ვიღაცა“ გკარნახობთ; ისევე როგორც თემატიკას, როგორც... ყველაფრს!“)... სხვაგან წერს: „დიახ, არის ზოგიერთი მოვლენა, რომლის ახსნა „მოკვდავთა ენას არ ძალუძს“... ამ თემაზეც შეიძლება საუბრის გაგრძელება... ფაქტია, დავით კლდიაშვილთან, როგორც ქუშმარიტ მწერალთან შემოქმედებით პროცესს წარმართავს ის, „რაიც შთაგონებით წყალობს“...

ღიგეხატუხა:

სილაგაძე, ა., თოთაძე, ა. (1997). გვარ-სახელები საქართველოში. თბილისი.

გოგოლაშვილი, გ. (2019). „შვენებით სავსე ქართული“ (ფიქრები დავით კლდიაშვილზე). თბილისი: თსუ გამომცემლობა.

In classical literature the choice of character names does not seem to be an automatic, easy process. This is the case with David Kldiashvili's works as well. Unlike E. Ninoshvili and G. Tsereteli, David Kldiashvili does not employ any telltale names in his writings. At first sight, the character names evidenced in his works are ordinary, widespread Christian names encountered in Imereti region of Georgia: Platon, Kirile, Aristo, Jimsher...Melano, Elene, Dariko; the family names also sound realistic: Samanishvili, Miminoshvili, Bregadze, Kamushadze... Thus, picking a specific Christian or family name for a character does not seem to be essential for D. Kldiashvili. However, the study of the writer's manuscripts has proved the opposite: in the process of creating his works the author often changed character names, he seemed to be in constant search of suitable names for them. In this reference, Sergo Kldiashvili's (David Kldiashvili's son) memoirs on one of the stories – "Solomon Morbeladze", are of particular interest: David Kldiashvili told his son: "I had the plot of the story, but I couldn't decide on a name for the main character; that troubled me and hindered me from finishing the story." At that time, it happened so, that he heard the family name Morbedadze, that according to D. Kldiashvili struck him "as a surprise, I modified Morbedadze to Morbeladze, the family name 'dragged' the Christian name Solomon, and the story was written with ease. It was not just work but a true pleasure!" It is difficult to say why the family name Morbeladze 'dragged' the Christian name – Solomon, or why the writer considered this pair to be a perfect match for his character.

Obviously, David Kldiashvili tries to fit names to his characters on the basis of their personal qualities; as the writer suggests: every character should have "a name of their own and not a borrowed one". The given phenomenon triggers a number of questions; is it plausible to answer them or find any explanation to the above-said? Presumably, the answers are known to the author...or, more convincingly, to the one "who grants us inspiration" (Anna Kalandadze).

Reference:

Silagadze, A., Totadze, A. (1997). Gvarsakhelebi sakartveloshi. [Surnames in Georgia]. Tbilisi.

Gogolashvili, G. „Shvenebit saves kartuli“ (fikrebi davit kldiashvilze). [“Georgian full of with beauty” (Thoughts about David Kldiashvili)]. Tbilisi. Tbilisi State University Press.

ანთროპონიმები იმერეთის XI-XII საუკუნეთა
ეპიგრაფიკაში

Anthroponyms in the epigraphy of Imereti of
XI-XII centuries

რუსუდან საღინაძე

Rusudan Saginadze

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Akaki Tseretely State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ეპიგრაფიკა, სემანტიკა, მოტივირებული,
ინფორმაცია, გვარი

Key words: Epigraphy, semantics, motivated, information, surname

ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლთა შორის გამორჩეულია იმერეთის წარწერები XI-XII საუკუნეებისა, რომლებიც განსაკუთრებით მდიდარია ანთროპონიმთა სიუხვით. ღმერთის, ანგელოზთა, წმინდანთა და მოწამეთა სახელებთან ერთად გვხვდება მაღალი და შედარებით დაბალი იერარქიის პირების, წარწერათა შემკვეთებისა თუ შემსრულებლების სახელები და გვარები. ჩვენი კვლევის ობიექტია ქუთაისის, ხონის, ვანის, თერჯოლის, ქიათურის, საჩხერის ლაპიდარულ წარწერებში (სულ 88 წარწ.) შემონახული ანთროპონიმები (შემდგენელი ვ. სილოგავა, 1980 წ.). მათ შორის უმრავლესობა არის XI საუკუნისა.

ქართულ ანთროპონიმიაში ქართული პირის სახელებთან ერთად გამოიყოფა უცხოურიც. რ. თოფჩიშვილის აზრით, უცხო სახელები ქართველ ხალხში, უპ. ყოვლისა, პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელთა შორის იკვალავდა გზას, საბოლოოდ კი „ყვედა შემოსუდი სახედი თანაახსებობდა კანონიზებუდ ქისტიანუდ და საკუთივ ქაითუდ-ქაითვეღუ საკუთაი სახედებთან ეითად“ (თოფჩიშვილი, 2002, გვ. 93). იმერეთის ეპიგრაფიკულ ძეგლთა მონაცემებით, ანალოგიური ვითარებაა XI-XII საუკუნეებშიც. მაგალითად, გვხვდება ძველი ებრაულიდან შემოსული სახელები (ზოგი მათგანი ვარიანტებითაც):

ივა (ებრ. ღვთის საჩუქარი): „უ-ო, გა(ნ)უსუ(ე)ნე სულსა **ივანისასა...**“ (თუზი, თერჯოლა). ამ სახელის ვარიანტი უნდა იყოს ივანას წარწერაში (სიმონეთი, თერჯოლა) ნახსენები **ივნა**: „ქ-ე, შ-ე **ივნაჲ**“. ვ. სილოგავას აზრით, შესაძლოა, ორივე, **ივა** და **ივნა**, დაკავშირებული იყოს სახელებთან **ივ(ა)ნაჲ** (დას. საქ. წარწ., 1980, გვ. 112), რომლის ამოსავალი ფორმა **იოვანე** დასტურდება იმერეთის ეპიგრაფიკაში: „...შ-ე **ჲ(ოვან)ე...** შვილნი **ჲ(ოვან)ესნჲ**“ (ქუთ. სახელმწ. ისტ. მუზეუმი, XI-XII სკ.). ამ სახელის ამოსავლად მიჩნეულია **იეჰოხანან**, **იოჰანან** (ძვ. ებრ. ვისაც ღმერთი სწყალობს). ის ებრაულიდან ისესხა ბერძნულმა, იქიდან კი სხვადასხვა სახით მოხვდა მსოფლიოს მრავალ ენაში.

„(იგი) ქაითუდში შემოსუდია ბეჰძნუდი ვოკაცივის... ფოხმით და ხანმეგ-ჰაემეგ ტექსტებში (უფხო გვიანაც) გვხვდება იოჰანე, შემდეგ – იოანე და იოვანე, ბოდოს – ივანე, შემოკდებით – ვანო... აქედან ჩანს, რომ X საუკუნის მეოხე ნახევარში ქაითუდ მეტყველებაში უკვე **ივანე** იყო დამკვიდრებული, მაგჰამ წეხისას, დიგეჰაგუხუდი გჰადიცის გავდენით, ჯეჰ კიდევ **იოვანე** სჭაიბობდა“ (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 353);

იაკობი (ძვ. ებრ. მიმდევარი): „ქ-ე, შ-ე **იაკობ**“ (სიმონეთი, თერჯოლა)... იგი თავდაპირველად ნიშნავდა ტყუპთაგან მეორეს, მომდევნოს,

შემდეგ კი შეიძინა მნიშვნელობა ღვთის მიმყოლის, ღვთის კვალზე მავალისა (იქვე, გვ. 344);

XI საუკუნის იმერეთში გავრცელებული სახელია **მიქაელი** (ძვ. ებრ. ღვთის სწორი, ღვთაებრივი): „[წმიდაო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო, შ(ე)იწყალე] **მიქ(ა)ელ**], ესე ქვაჲ მ[ან] [შ]ესწირა“ (ბაჯითი, საჩხერე); იგი გვხვდება დარკვეთის (ჭიათურა), ღვანკითის (თერჯოლა) წარწერებშიც. **მიქაელიც** ებრაულიდან შევიდა ბერძნულში და ამ გზით გავრცელდა სხვადასხვა ფორმით მსოფლიოს მრავალ ენაში (ჭუმბურიძე, 2003, 187);

ებრაული უნდა იყოს ხონის XI-XII საუკუნის წარწერაში მოხსენიებული სახელი **ლიშაი** (= საჩუქარი): „წ-ო გ-ი, შ-ე **[ი(ოვ)]ანე ლიშაი** გ(ი-ორგ)ის ძეჲ ა-წ“.

ქართულში ცოტაა **ი** ხმოვანფუძიანი პირის სახელები. უმეტესობა ნასესხებია ბერძნული **-იოს** დაბოლოებიანი სახელებისაგან. მათგან ყველაზე მეტად არის გავრცელებული **გიორგი**. აღსანიშნავია, რომ იმერეთის XI საუკუნის ეპიგრაფიკაში **გიორგი** მეტწილად გვხვდება წმინდანთა და მოწამეთა, მაღალი იერარქიის პირთა აღმნიშვნელად. მაგალითად: „წ-ო **გ(იორგ)ი**, მეოხ ეყ(ა)ვ წ(ინაშ)ე...“ (სავანე, საჩხერე); „ად[გი]ლს[ა] **[მთ(ა)ვ(არ)მ(ო)წ(ა)მისა გ(იორგ)ი(ს)სა...**“ (გადიდი, ვანი); „წ-ო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო, შ-ე დ(იდე)ბ[უ]ლი **გ(იორგ)ი მ(ე)ფ(ე)ჲ**“ (კაცხი, ჭიათურა)... „...მე, **გ(იორგ)ი ე(რისთავთ)-ე(რისთავმან)** ავაშენე ესე წ-ჲ ეკლესიჲჲ სავანის(ა)ჲ“ (სავანე, საჩხერე)... **გიორგი** გვხვდება შედარებით დაბალი იერარქიის პირის სახელადაც: „[წ-ო ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო, შ-ე **გ(იორგ)ი** ესე ქვაჲ მ(ა)თდა იყიდა“ (ბაჯითი, საჩხერე)...

კვრიკე (< ბერძნ. უფალი, ბატონი): „† წ-ო გ-ი, შ-ე **კ(ვრიკ)ე...**“ (სიმონეთი, თერჯოლა); „...შვ(ი)ლ(წ)ი გოლიათ(ი)სწი: ა(წ)ტონი გოდობრელი, ლ(ი)პ(არი)ტ და **კ(ვრიკ)ე...**“ (დარკვეთი, ჭიათურა)... **კვრიკეს** ქართულ შესატყვისად მიჩნეულია **უფლისა**, რომელიც ქართულში ადრიდანვე იყო არაერთი ისტორიული პირის სახელი...

იმერეთის ეპიგრაფიკაში არის სპარსული წარმოშობის პირის სახელებიც. ასეთია:

რათი (სპარს. ბატონი ან დიდსულოვანი, სულგრძელი): „ა(ღ)ვაშენე [...] **რათისა** და, [...] ცოდვილისა ს(უ)ლისა ჩ(ე)მისა“ (გადიდი, ვანი). **რათი** არის ერისთავთა საგვარეულო სახელი (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 364);

საურმაგი (ძვ. სპარს. შავმკლავა): „† წ-ო გ-ი, შ-ე **ს(ა)ურმ(ა)გ**, ძე აქუნისა...“ (სავანე, საჩხერე). **საურმაგი** ერქვა ფარნავაზ მეფის ვაჟს (ძვ. წ. აღ. III სკ.)...

1046 წ. ტაძრის სამშენებლო წარწერაში (სავანე, საჩხერე) ნახსენებია **ხურსი** (ერისთავი). იგი სპარსული სახელია და ნიშნავს დათვს

(ქართული გენეალოგია: <http://www.geogen.ge/ge/msearch/4334/>). შდრ. **ხოვრსი** (> ხურსი): „† ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო ნ-ო შ-ე და ადიდე მ(ა)რ(ია)მ დეოფა-ლი და შვილნი მისნი – გ-ი და **ხოვრსი**“ (ქორეთი, საჩხერე);

ვარდანი (თუზი, თერჯოლა) სპარსულია და ნიშნავს გმირს ან მოქალაქეს. იგი შემოსულია სომხურიდან (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 338).

აღმოსავლური წარმოშობისა უნდა იყოს იმერეთის წარწერებში მოხსენიებული სხვა სახელებიც: **იოჰაბ-ი** (კაცხი, ჭიათურა), **ჰარაბა** (ჰარაბას წარწ., 1046 წ.), **იოანე**, **იაკობი**, **მიქაელი**, **გიორგი**, **რატი** (ბევრი სხვა სახელის მსგავსად) კი გაქართულებული, კანონიზებული ქრისტიანული სახელებია (თოფჩიშვილი, 2002, გვ. 94).

ქართული ანთროპონიმების უძველეს ფონდში ალ. ლლონტი გამოყოფს სამ ჯგუფს: ძირეულ, წარმოქმნილსა და თხზულ სახელებს. ამათგან პირველ ორს მეცნიერი ქრონოლოგიურად უძველეს ფენას მიაკუთვნებს, თხზულს კი – გვიანდელს (1986, გვ. 15). იმერეთში დასტურდება სამივე ჯგუფის პირის სახელები.

სემანტიკური ნიშნით ანთროპონიმიაში გამოყოფენ ორ ჯგუფს. ესენია: 1. არამოტივირებული, ანუ სემანტიკადაბინდული სახელები და 2. მოტივირებული, ანუ სემანტიკადაუბინდავი სახელები (გოდერძიშვილი, 2012, გვ. 50).

იმერეთის ლაპიდარიუმის ანთროპონიმია სემანტიკურად არაერთგვაროვანია. ჩვენი მასალის მიხედვით დასტურდება მოტივირებული, გამჭვირვალე ეტიმოლოგიის გაანთროპონიმებული პირის სახელები: **ხუცი** (კაცხი), **მოლოზონდ** (ქორეთი), **ხატისა** (სიმონეთი), **ფერისა** (ქორეთი), **იანვარ** (იქვე). ცნობილია ამ სახელის ხმოვანფუძიანი ვარიანტი **იანვარა**, რომელიც, ზეჭუმბურიძის აზრით, ქართული სახელია, ნიშნავს „იანვარში დაბადებულს“, „იანვრისას“. თვით სახელწოდება **იანვარი**, თავის მხრივ, მიღებულია რომაელთა ღვთაების **იანუსის** სახელისაგან (ქართული გენეალოგია: <http://www.geogen.ge/ge/msearch/4312/>).

რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების“ პირველ ტომში წარჩინებულთა შორის მხოლოდ ორჯერ გვხვდება საკუთრივ ქართული სახელი: ზვიადი და კახაბერი. „**ზვიადი** პოპულარული სახელი იყო ყველა დროის საქართველოში. ის XIII საუკუნის საბუთშიც გვხვდება“ (2002, გვ. 94). ჩვენი საანალიზო მასალის მიხედვით, **ზვიადი** დასტურდება უფრო ადრეც, პერევის (ჭიათურა), ასევე, ქორეთის (საჩხერე) XI საუკუნის, წარწერებში. იმავე ეპოქაში არსებობს მისი თხზული ვარიანტი **გულზვიადიც**: „ავაშენე ...ს(ა)ლ(ო)ცვ(ე)ლ(ა)დ ...მშ(ო)ბ(ე)ლთა ჩ(ე)მთათჳს – **გ(უ)ლზ(ვია)დ(ი)სთ(ჯ)ს** და მ(ა)რ(იამი)სთ(ჯ)ს...“ (სავანე, საჩხერე).

ნათელი არ არის ზოგიერთი ანთროპონიმის ეტიმოლოგია. ასეთია, მაგალითად: **გოლიათი** (დარკვეთი, ჭიათურა), **ვაშაყმა** (თუზი, თერჯოლა), **შალვა** (სიმონეთი, თერჯოლა; ბაჯითი, საჩხერე...). ალ. ჭინჭარაული **შალვას** უკავშირებს ქართულ სახელს **შავლეგს** (= შავი, შავგრემანი): „დედას კაცი მოუვიდა: შენ შავლეგი მოგიკლესა... შალვას დედა მოტიროდა, მოიშლიდა გიშრის თმასა“ (ქსპ, XI, 17) (ქართული გენეალოგია: <http://www.geogen.ge/ge/msearch/4328/>), ზ. ჭუმბურიძის განმარტებით, **შალვა** ებრაულია და ნიშნავს მშვიდობას, თუმცა მეცნიერი არ გამორიცხავს ალ. ჭინჭარაულის ვარაუდს ქართულ სახელთან, **შავლეგთან**, მისი დაკავშირების შესახებ. **შალვა** თორელთა საგვარეულო სახელი იყო. მისი ადრინდელი ფორმა **შაველა > შავლა** შემონახულია გვარებში: შავლაძე, შავლიძე, შაველაშვილი... (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 373).

არამოტივირებული, სემანტიკადაბინდული სახელებია: **ლიპარტი** (დარკვეთი, ჭიათურა), რომელიც გაურკვეველი მნიშვნელობისაა და ქართულიდან არის შესული სომხურში. იგი თრიალეთის ერისთავთა სახელია (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 353); **ლაჩხი**, **კოხალა** (დარკვეთი); **იხნა** (სიმონეთი); **სირა** (კაცხი); **ქორდა** (ქორეთი)...

იმერეთის ლაპიდარიუმში შემონახულია XI საუკუნის მაღალი იერარქიის წარმომადგენელ ქალთა სახელები: **გუარანდუხტი** – ბაგრატ მეფის დედა (ბაგრატ. ტაძრ. წარწ., ქუთაისი), **მარიამი** – გიორგი ერისთავთ-ერისთავის დედა (სავანე, საჩხერე), **ცხორება** – იოანე ერისთავთა ერისთავის ასული (კაცხი, ჭიათურა)...

საანალიზო მასალაში უხვად არის სხვა სახის ონომასტიკური მასალაც, რომელშიც ჩანს გვარის, გვარსახელისა თუ მეტსახელის ისტორია. ასეთია: „...მ(ი)ქ(ა)ელ **მიჭვტინისა ძ(ე)ი**“ (ქორეთი), „...მ(ი)ქ(ა)ელ **მჭევრაის ძე** ქორდაი“ (იქვე). შდრ. მჭევრაის ძე – ჭირაძს ძის. ან: ჭ(ა)რელის ძე (ვ. სილოგავა) (დას. საქ. წარწ., 1980, გვ. 126), „...**იოჭიპი(ს) ძენი**“ (იქვე)... აგრეთვე, სხვა წარწერებში: „...**ჯიჯუისძისა**...“ (კაცხი); „...**ღვინოს ძეი** გიორგი“ (სიმონეთი); „...**გმ(ი)რ(ი)სძისსა** კ(ვრიკ)ესა“ (სავანე); „...**ს(ა)ჯის ძე** გ(იორგ)ი“ (ხონი, XI-XII სკ.); „...**სტ(ე)ფ(ა)ნე კ(ალა)ტ(ო) ზი**“ (სიმონეთი)...

გვაროვნული სახელი საქართველოში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და VII-VIII სს.-ში მისი ჩამოყალიბების პროცესი დასრულებული ჩანს (ღლონტი, 1986, გვ. 48). ამ მოსაზრებას იზიარებენ ზ. ჭუმბურიძე, რ. თოფჩიშვილი... ამას მოწმობს იმერეთის ეპიგრაფიკულ ძეგლთა მონაცემებიც. მათში ისიც ჩანს, რომ უპირატესობა ენიჭება წინაპრის სახელს ან მეტსახელს, წინაპართგან კი – მამაკაცის

სახელს, როგორც ოჯახის უფროსს, გვარის მეთაურს (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 295).

XI-XII საუკუნეთა იმერეთის ლაპიდარული წარწერები შესრულებულია საეკლესიო ნაგებობებზე და მეტწილად საეკლესიო ხასიათისაა. მათში დაცული ანთროპონიმია გვანჯდის მნიშვნელოვან ინფორმაციას საერო პირთა და ხელისუფალთა, ასევე, შედარებით დაბალი იერარქიის წარმომადგენელთა შესახებ და გვიჩვენებს იმდროინდელი საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, იმერეთის, საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს.

ლიტერატურა:

გოდერძიშვილი, ქ. (2012). ქართველური ანთროპონიმის ძირითადი საკითხები, თბილისი. „უნივერსალი“.

დასავლეთ საქართველოს წარწერები (შემდგენელი: ვ. სილოგავა), ნაკვეთი I (1980). თბილისი. „მეცნიერება“.

თოფჩიშვილი, რ. (2002). აღმოსავლური და დასავლური ელემენტი ქართულ ანთროპონიმიაში: „ქართველური მემკვიდრეობა“, VI, ქუთაისი, „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ქართული გენეალოგია (ვაჟის სახელები) (2022, 27 თებერვალი): <http://www.geogen.ge/ge/msearch/4334/>

ქართული გენეალოგია (ვაჟის სახელები) (2022, 27 თებერვალი): <http://www.geogen.ge/ge/msearch/4312/>

ქართული გენეალოგია (ვაჟის სახელები) (2022, 27 თებერვალი): <http://www.geogen.ge/ge/msearch/4328/>

ღლონტი, ალ. (1986). ქართველური საკუთარი სახელები (ანთროპონიმთა ლექსიკონი), თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ჭუმბურიძე, ზ. (1987). დედაენა ქართული, თბილისი: „ნაკადული“.

ჭუმბურიძე, ზ. (2003). რა გქვია შენ? თბილისი: „ლოგოს-პრესი“.

Among the ancient Georgian epigraphic monuments that have been survived and reached us, the inscriptions of Imereti of the XI-XII centuries, which are especially rich by anthroponyms, can be distinguished. Along with the names of gods, angels, saints, and martyrs, we find the names and surnames of persons from high and relatively low hierarchy, of those who ordered the inscriptions and those who made them. The object of our research is the anthroponyms preserved in the lapidary inscriptions of Kutaisi, Khoni,

Vani, Terjola, Chiatura, Sachkhere (88 inscr. in total) (compiled by V. Silogava, 1980). Most of them are from the XI century.

In Georgian anthroponymy, along with the names of Georgian persons, foreign ones are also distinguished. According to R. Topchishvili, foreign names first of all paved their way among the representatives of the privileged class of Georgian people, and finally “*all the entered names coexisted together with the canonized Christian and Georgian-Kartvelian proper names*” (Topchishvili, 2002, p. 93). According to the datas of epigraphic monuments of Imereti, the situation is similar in XI-XII centuries. For example, we find names entered from Hebrew (some of them with variants):

Iva (Heb. Gift of God): „u-o, ga(n)usu(e)ne sulsa **Ivaisasa**...” (Tuzi, Terjola). The variant of this name should be **Ivna** mentioned in the inscription of Ivna (Simoneti, Terjola): „K-E, sh~e **Ivnai(α)**“. According to V. Silogava, **Iva** and **Ivna**, may both be related to the name **Iv(a)nai(α)** (Inscriptions from Western Georgia, 1980, p. 112), The original form of which – **lovane**, is confirmed in the epigraphy of Imereti: „...Sh~e **I(α)(ovan)e**... shvilni **I(α)(ovan)esni(α)**“ (Kutaisi State History Museum, XI-XII cc.). The origin of this name is considered to be **lehokhanan**, **lohanan** (Heb. To whom God has mercy). It was borrowed from Hebrew into Greek, and from there it was spread into many languages around the world.

*“(It) is entered in Georgian language in the form of the Greek vocative... and in Khanmet-Haemet texts (more later as well) we find Iohane, then – Iohane and Iovane, finally – Ivane, shortened form of which is – Vano... It seems that in the second half of the X century **Ivane** was already established in Georgian, but in writing, under the influence of the literary tradition, **lovane** still prevailed”* (Chumburidze, 1987, p. 353);

Iakob-i (Heb. disciple): „k~e, sh~e **Iakob**“ (Simoneti, Terjola)... It originally meant the second one of the twins, and then it acquired the meaning of disciple, a follower of God (ibid., p. 344);

In the XI century the name **Mikael-i** was widely spread (Heb. godlike, divine): „[tsmidao s(a)m(e)b(a)o, sh(eitsqal)e **Mi[k(a) el]**, ese kvaα m[an] [sh] stsira“ (Bajiti, Sachkhere); It is also found in Darkveta (Chiatura), Ghvankiti (Terjola) inscriptions. **Mikaeli** also entered from Hebrew into Greek and in this way spread in various forms in many languages of the world (Chumburidze, 2003, p. 187).

The name **Lishai** (= gift) mentioned in the XI-XII century inscription in Khoni must be Hebrew: „ts~o g~i, sh~ e **[I(ov)]ane lishai** G(iorg)is dzei(α) a~n“.

There are a few names with **-i** vowel stems in Georgian. Most of them are borrowed from Greek names ended in **-ios**. The most common of these is **Giorgi**. It is noteworthy that in the XI century epigraphy of Imereti, **Giorgi** is mostly found as a symbol of saints and martyrs, persons of high hierarchy. for example: „ts~o **G(iorg)i**, meokh eq(a)v ts(inash)e...“ (Savane, Sachkhere); **[mt(av(a)r)m(o)ts(a)misa G(iorg)i(s)sa...**“ (Gadidi,Vani); „ts~o s(a)m(e)b(a)o, sh~ e d(ide)b[u]li **G(iorg)i m(e)p(e) i(ϖ)**“ (katskhi, chiatura); „...me, **G(iorg)i e(ristavt)-e(ristavman)** avashene ese ts~i(ϓ) eklesiai(ϖ) savanis(a)i(ϖ)“ (Savane)... **Giorgi** is also found as the name of persons of low hierarchy: „[ts~o s(a)m(e)b(a)o, sh~e **G(iorg)i** ese kvai (ϓ) m(a)tda iqida“ (Bajiti, Sackhere)...

Kvi(3)rike (< Greek Lord, Sir): „t ts~o g~i, sh~e **K(vi(3)rik)e...**“ (Simoneti, Terjola); „...shv(i)l(n)i Goliat(i)sni: A(n)toni Godobreli, L(i)p(ari)t ოჲ **K(v(3)irik)e...**“ (darkveti, chiatura)... Georgian equivalent of **Kvi(3)rike** is considered to be **Uplisa**, which has been the name of many historical figures in Georgian from the early times ...

In the epigraphy of Imereti there are also the names of persons of Persian origin:

Rati (Pers. lord or magnanimous, great-hearted): „a(gh)vashene [...] **Ratisa** da, [...] tsodvilisa s(u)lisa ch(e)misa“ (Gadidi, Vani). **Rati** is the family name of the Eristavi(Feudal Lords) (Chumburidze, 1987, p. 364);

Saurmag-i (Old Pers. Black-shouldered): „t ts~o g~i, sh~ e **S(a)urm(a)g**, dze akunisa...“ (Savane, Sachkhere). **Saurmag** was called the son of King Parnavaz (III century BC) ...

Khursi Eristavi (Feudal Lord) is mentioned in the constructing inscription of the temple in 1046 (Savane, Sachkhere). It is a Persian name meaning bear (Georgian genealogy: <http://www.geogen.ge/ge/msearch/4334/>). comp. **Khovi(3)rsi** (> Khursi): „t s(a)m(e)b(a)o ts~o sh~ e da adide M(a)r(ia)m deopali da shvilni misni – g~i da **Khovi(3)rsi**“ (Koreti, Sachkhere);

Vardan-i (Tuzi, Terjola) is Persian and means hero or citizen. It entered from Armenian (Chumburidze, 1987, p. 338).

Other names mentioned in inscriptions of Imereti must also be of Eastern origin: **Iohab-o** (Katskhi, Chiatura), **Haraba** (Haraba inscr., 1046), **Ioane**, **Iakob(i)**, **Mikael(i)**, **Giorgi**, **Rati** (like many other names) are Georgianized, canonized Christian names (Topchishvili, 2002, p. 94).

In the ancient fund of Georgian anthroponyms Al. Ghlonti distinguishes three groups: basic, derivative, and composed names. The first two of them are chronologically attributed to the ancient layer by the scientist, and the

composed ones – to the later (1986, p. 15). The names of all three groups are confirmed in Imereti.

Two group of names are distinguished in Anthroponymy. They are: 1. unmotivated, and 2. Motivated (Goderdzishvili, 2012, p. 50).

Anthroponymy of Imereti Lapidarium is semantically heterogeneous. According to our material, motivated, anthroponimized names of transparent etymology are distinguished: **Khutsi** (Katskhi), **Molozoni(᠔)** (Koreti), **Khatisa** (Simoneti), **Perisa** (Koreti), **Ianvar** (ibid). The vowel-stem variant of this name – **Ianvara** is known, which, according to Z. Chumburidze, is a Georgian name, meaning “born in January”, “Of January”. The name **Ianvar-i** (January) itself, in turn, is derived from the name of the Roman deity **Ianus** (Janus) (Georgian genealogy: <http://www.geogen.ge/ge/msearch/4312/>).

R. Topchishvili notes that in the first volume of “Kartlis Tskhovreba” (“Life of Kartli”) the Georgian name itself is found only twice among the honorees: Zviadi and Kakhberi. “**Zviad-i** was a popular name in Georgia of all times. It is also found in a 13th century document” (2002, pg. 94). According to our analytical material, **Zviad-i** is confirmed earlier in the inscriptions of Perevi (Chiatura), as well as Koreti (Sachkhere) in the XI century. In the same epoch there is also found its composed version **Gulzviad-i**: „avashene... s(a) l(o)cv(e)l(a)d ...msh(o)b(e)lta ch(e)mtatvis – **G(u)lz(via)d(i)st(vi)s** da M(a)r(ia-mi)st(vis)...“ (Savane, Sachkhere).

The etymology of some anthroponyms is not clear. These are, for example: **Goliati** (Darkveti, Chiatura), **Vashaqma** (Tuzi), **Shalva** (Simoneti; Bajiti...). Al. Chincharauli connects **Shalva** with the Georgian name **Shavleg** (= black, brunette): “A man came to his mother: your Shavleg was killed... Shalva’s mother was crying, tousling her agate-like hair” (Georgian folk poetry, XI, 17: <http://www.geogen.ge/ge/msearch/4328/>), According to Z. Chumburidze, **Shalva** is Jewish and means peace, but the scientist does not exclude the supposition of Al. Chincharauli about its connection with the Georgian name, **Shavleg**. Shalva was the family name of Toreli. Its earlier form **Shave-la> Shavla** is preserved in the surnames: Shavladze, Shavlidze, Shavelashvili ... (Chumburidze, 1987, p. 373).

Unmotivated names are: **Liparit-i** (Darkveti), Which has an unknown meaning and is entered into Armenian from Georgian. It is the name of the feudal lords of Trialeti (Chumburidze, 1987, p. 353); **Lachkhi**, **Kokhala** (Darkveti); **Ikhna** (Simoneti); **Sira** (Katskhi); **Korda** (Koreti)...

In the Lapidarium of Imereti the names of women from the high hierarchy of the XI century are preserved: **Guarandukht-i** – mother of King Bagrat

(inscription of Bagrati Cathedral, Kutaisi), **Mariam-i** – mother of George feudal lord of Eristavi (Savane, Sachkhere), **Tskhoreba** – daughter of feudal lord of Eristavi (Katskhi, Chiatura)...

Analytical material is rich in other types of onomastic material, which shows the history of a surname, family name or nickname. It is as follows: „...M(i)k(a)el **Michvinitisa dz(e)i**“ (Koreti), „...M(i)k(a)el **Mchevrais dze Kordai**“ (ibid). comp. Mchevrais dze – Chirai(Ი)s dzis. or: Ch(a)relis dze (V. Silogava) (inscriptions of western Georgia, 1980, pg. 126), „...**lochipi(s) dzeni**“ (ibid)... in other inscriptions as well: „...**Jikh(/Ლ)uaisdzisa**...“ (Katskhi); „...**Ghvinos dzei Giorgi**“ (Simoneti); „...**Gm(i)r(i)sdzissa K(vi(Თ)rik)esa**“ (Savane); „...**S(a)jis dze G(iorg)i**“ (Khoni, XI-XII სს.); „...**St(e)p(a)ne K(ala)t(o)zi**“ (Simoneti)...

The family name originated in Georgia in the era of early feudalism, and in the VII-VIII centuries the process of its formation seems almost complete (Ghlonti, 1986, p. 48). This opinion is shared by Z. Chumburidze, R. Topchishvili... This is evidenced by the data of epigraphic monuments of Imereti. They also show that preference is given to the name or nickname of the ancestor, and from the ancestor – the name of the man as the head of the family, the leader of the surname (Chumburidze, 1987, p. 295).

Lapidary inscriptions of Imereti of XI-XII centuries are made on church buildings and are mostly of ecclesiastical nature. The anthroponymy preserved in them provides important information about secular persons and authorities, as well as representatives of a relatively low hierarchy and shows the material and spiritual values of social life in one of the parts of Georgia, Imereti, at that time.

Literature:

Goderdzishvili, K. (2012). Kartveluri antroponimikis dziritadi sakitkhebi. [Basic Issues of Kartvelian Anthroponymy]. Tbilisi. “Universal”.

Dasavlet Sakartvelos tsartserebi. [Inscriptions of Western Georgia] (Compiler: V. Silogava), Part I (1980). Tbilisi. “Science”.

Topchishvili, R. (2002). Aghmosavluri da dasavluri elementi kartul antroponimiashi. [Eastern and Western Elements in Georgian Anthroponymy]: “Kartvelian Heritage”, VI. Kutaisi, Akaki Tsereteli State University Press.

Kartuli genealogia (vazhis saxelebi). [Georgian genealogy (son names)] (2022, 27 February): <http://www.geogen.ge/ge/msearch/4334/>

Kartuli genealogia (vazhis saxelebi). [Georgian genealogy (son names)] (2022, 27 February): <http://www.geogen.ge/ge/msearch/4312/>

Kartuli genealogia (vazhis saxelebi). [Georgian genealogy (son names)] (2022, 27 February): <http://www.geogen.ge/ge/msearch/4328/>

Ghlonti, Al. (1986). Kartveluri sakutari saxelebi (antroponimta leksikoni). [Kartvelian proper names (Dictionary of Anthroponyms)], Tbilisi: "Soviet Georgia".

Chumburidze, Z. (1987). Dedaena kartuli. [Mother language Georgian] Tbilisi: "Nakaduli".

Chumburidze, Z. (2003). Ra gkvia shen? [What is your name?] Tbilisi: Logos-Press.

იალცუნესგა – დალის (კოდორის) ხეობის
„შუამდინარეთი“

Ialtsunesga – “Mesopotamia” of Dali (Kodori) Gorge

ქეთევან მარგიანი

Ketevan Margiani

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Sokhumi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: დალის (კოდორის) ხეობა, სვანური, ონომასტიკა,
სოფელი იალცუნესგა, ტოპონიმია

Key words: Dali (Kodori) Gorge, Svan, Onomastics, Village Ialtsunesga, Toponymy

სოფელი **იალცუნესგა** მდებარეობს დალის ხეობის სათავეში, კლუხორის უღელტეხილის ძირში, საქართველოს სასაზღვრო ზოლთან ყარაჩაი-ჩერქეზეთის მხრივ, მდინარე კოდორის შენაკადებს, უფრო სწორედ, სათავეებს – **საკნარასა** და **გვანდრალას** შორის. შევნიშნავთ, რომ სწორედ ამ სოფლის მერე, წყალთშესაყარიდან შავ ზღვასთან შეერთების ადგილამდე ჰქვია ამ კამკამა წყალს მდინარე **კოდორი**. სახელი, რომელიც შემდგომ მთლიანად ხეობაზე გავრცელდა; (**აძგარა, აჯარა, გვანდრალა, საკნარა, ხეცქვარა / ხენყვარა** – აქვე შევნიშნავთ, რომ მდინარე კოდორი მთლიანობაში მოიცავს ამ შენაკადების აუზებს).

მდებარეობა, გეოგრაფიული ლანდშაფტი, სწორედ ორ მდინარეს შორის განთავსება კი ამ სოფლისათვის გამხდარა ტოპონიმის სახელდების მოტივაცია: **იალცუნესგა < ფარვ ლიც ნესგა < ფორი ლიც ნესგა** „ორ-წყალ-შუა“ ფონეტიკური ცვლილებების გათვალისწინებით სვანურად სიტყვასიტყვით ნიშნავს „ორ-წყალ-შუა, ორ მდინარეს შორის“ (ფონეტიკური ცვლილებები კი განაპირობა სონორების მეზობლობამ, **რ-ს** დაკარგვამ, ლაბიალიზაციამ, ინტერვოკალურ პოზიციაში **ი** ხმოვნის რედუქციამ)... ამგვარად მივიღეთ სოფელ ომარიშალას (სვანური წარმოთქმით **ომარიშჷლ** „ომარაანთი“) მეორე სახელი **იალცუნესგა**, იგივე დალის ხეობის შუამდინარეთი, **იალცუნესგა** – კოდორული შუამდინარეთი. დალის ხეობის სხვა სოფლების მკვიდრნი – გენწვიშელები, გვანდრელები, აჯარელები, ხუტიელები, საკენელები... ომარიშალელებს უხმობენ და მოიხსენიებენ სწორედ სახელით **იალცუნესგჷლ** „იალცუნესგას მკვიდრნი“ სიტყვასიტყვით კი „შუამდინარეთელები“.

დალის ხეობა ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში მივსიანეთი ანუ მისიმიანეთი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში-დალის ხეობა, XIX საუკუნეში - წებელდა-დალის საბოქაულო, საბჭოთა ეპოქაში - აფხაზეთის სვანეთი, XXI საუკუნეში - ზემო აფხაზეთი. სახელწოდებათა ასეთი მრავალფეროვნებაც კი, ვფიქრობთ, თავისთავად მიანიშნებს საქართველოს ისტორიაში ამ ხეობის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე. სვანეთის, სვანებისა და უშუალო გარემოცვის მეზობელთათვის კი კოდორის ხეობა ოდითგანვე იყო და არის დალი (სვანური წარმოთქმით დალ) ნადირობის ქალღმერთის საბრძანებელი და დალეღთა ისტორიული სამკვიდრებელი. 2008 წლის ცნობილი მოვლენების შემდგომ კოდოროლების უმეტესობა, სამწუხაროდ, დევნილის სტატუსით ცხოვრობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში – იმერეთში, ქვემო ქართლში, სვანეთში, ევროპის ქვეყნებში... და არა მშობლიურ ოდაბადეში!

ცნობილია, რომ უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით – **კლუხორის, მარუხის, ნაჭარვის...** უღელტეხილებით ისტორიული დალის ხეობა არის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რაც ამ ხეობას ყოველ ისტორიულ ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტრატეგიულ ფუნქციას აკისრებდა, სძენდა.

დალცუნესგას ონომასტიკონი (თეონიმი, ტოპონიმი, გვარსახელთა სისტემა, ზოონიმი, ბოტანონიმი...) უაღრესად საინტერესოა და თითქმის შეუსწავლელი. დასანანია ისიც, რომ 80 კომლიანი ძირძველი ქართული სოფელი დღეს მთლიანად დაცლილია და ქართული სიტყვა იქ აღარ გაისმის; ისევე როგორც მთლიანად კოდორის ხეობა, რომელიც ისტორიულად არასოდეს, არც ერთ ეპოქაში საქართველოსგან მოკვეთილი არ ყოფილა! დღეს კი? დროებით მოკვეთილი? ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც?!

2008 წლამდე კი **დალის ხეობის „შუამდინარეთში“** ცხოვრობდნენ და მოსახლეობდნენ გვარები: **ავალიანი, გასვიანი, გერლიანი, გულბანი, გუჯეჯიანი, დადვანი, დევდარიანი, მარგიანი, პირველი, სამსიანი, ქალდანი, ქოჩქიანი, ჯაჭვლიანი...** შტოგვარები: **ომანაშა, გვეგინოშა, ასლანაშ, ფილოშა, ლუკვაშა / ნუკვაშა, თაშბიშერ, ლამხერაშ, ბესა / ბეშა, გიოშა / გიოშერ, გუაშა, დავითილშა, გაგუშა, ბაპაშა / ბაპშერ, გიორგიშა, ბაღრიშა / ბაღრიშერ...**

სოფლის ონომასტიკურ მასალაში ყურადღება მიიქცია ჰიდრონიმების სიმრავლემ და წყლის სხვადასხვა აგრეგატული მდგომარეობის ამსახველმა არქაულმა სვანურმა ლექსიკამ – ტოპონიმებში აქტიურად და პროდუქტიულად გამოვლენილმა. შესაბამისად, პუპლიკაციაში წარმოდგენილია წყალთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები და სოფელ დალცუნესგას ჰიდრონიმები.

ჩვენს ხელთ არსებული მასალით კოდორულ „შუამდინარეთში“ გეოგრაფიული სახელების სანარმოებლად გამოიყენება შემდეგი სახის ლექსიკა და ჰიდროგრაფიული ტერმინოლოგია: **ლიც/ნიც „წყალი“, ლილცერე < *ლი-ლიც-ერ-ე „მორწყვა“, ლიტრმბე „დატბორვა, დაგუბება“, ნალცარე < *ნა-ლიც-არ-ე „მორწყული“, სგიმ „მჟავე წყალი“, ლგლცერე < *ლგ-ლიც-ერ-ე „მორწყული“, ტრმბ / ტრბ „ტბა“, მგჰ „ტბა“, ტვიბ „ხევი“, ნგდ / ნგდგლდარ „მცირე დებეტის წყარო“, მაზვბ „წყარო“ – უშუალოდ მიწიდან ამომავალი; სარაგ / სარაგ „წყარო“ (მაზვბ–ისაგან განსხვავებით სარაგ არის წყარო, რომელიც მოედინება), ქალაშ „მდინარე“, ლგლჰენ „არხი, ღელე, ნაკადული“, ტვიბრა „ღელე, ნაკადული“, ლეჰვბარა, ჰუბარ „ჭაობი“, მაჩხაგ „ჩანჩქერი“, დერა „მყინვარი“, ვოლ**

„მყინვარი“, **ხანსარ** „მარადიული მყინვარი“, **რივენ** „ადიდებული მდინარე“, **მაყველა** „მდორე მდინარე“, **ჟჰჰ** „ზვავი“, **ნაჟაჰვ** „ნაზვავარი, ზვავის ჩამონანოლი, **ნალქვერლიდ** „ნაწისქვილარი“, **ნაჭლჰა** „ნამდინარევი“, **ლალცუზნლ / ლალუზნლზრ** „სატივტივო“, **ჭალიარე ლატყვბლ** „მდინარეთმესართავი“...

ონომასტიკურ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ საერთოდ წყალთან და ჰიდრონიმიასთან არის დაკავშირებული ხეობისა და ხევის შინაარსი, რაც ზოგჯერ იდენტურიც შესაძლოა იყოს ხოლმე. მაგრამ როგორც წესი, ეს უკანასკნელი უფრო მცირეა ხეობასთან შედარებით. შევნიშნავთ, რომ ხეობისა და ხევის ფუნქციით ზოგადად სვანურში და მათ შორის კოდორულ სვანურშიც იხმარება **ტუბი** და **ტყუფ**. უფრო ხშირად ტუბი, რაც სვანურში ასევე ჰიდროგრაფიასთანაა დაკავშირებული. **დალიზ ტუბი** – დალის ხეობა, **ხოშა ტუბი** „დიდი ხევი“, **ლეჟ ტუბი** „აღმოსავლეთის ხევი“, **ლექუ ტუბი** „დასავლეთის ხევი“. **ტყუფს** კი უფრო მხარის, რეგიონის სემანტიკა აქვს. **დალიზ ტუბი** და **დალიზ ტყუფ** ორივე ითქმის დალის ხეობის მნიშვნელობით; თუმცა სემანტიკურად **ტყუფს** აქვს სივრცითი განფენილობის შინაარსი, **ტუბის / ტვიბს** კი სწორედ, ჩაღრმავებული მდებარეობისა, ხევისა, ხეობისა.

დალცუნესგას ჰიდრონიმებია: **ლენზი სგიმ** „ფიჭვის მჟავე წყალი“... **სარგ-ვლ < სარაგ** „წყარო“, **ელსაბეთი სარგილ** „ადგილის სახელია აჭაფარაში“, **მეშხე ტუბირა** „შავი ღელე“, **ტუბრაშვლ** „ღელისანები“, **ტუბრა-ლზრ** „ღელეები“, **ტობზ ნაკ** „ტობის ვაკე“, დალცუნესგა <აარტ-ლიც-ნესგა „შუამდინარეთი“, **სარგვლ** (სათიბის სახელია) < სარაგ „წყარო“, **ტობზრ** (მთის სახელია) < **ტობ/ტობმ** „ტობა“, **ნგდგლდზრ** (მდელოს სახელია) < ნგდგლდ „მცირე დებეტის წყალი“, **ლეთლენფინრე სარგილ** < „მთის ღოლოების წყარო“, **შეყრი ტუბი** „შიყერის ხევი“, **აჭაფარზ ტყუფ** „აჭაფარის ხეობა“, **ლაგანჭუ ღზრი ნგდგლდ** „ანწლის ხევის ნაჟური წყლები“... ჰიდრონიმიას განეკუთვნება და შესაბამისად საინტერესოა თავად ხეობის ძირითადი მდინარის სახელი; ჰიდრონიმ კოდორის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ონომასტიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი: თ. მიბჩუანი მას სვანურ **კადარ-ს** „მშრალ-ს“ უკავშირებს და მიიჩნევს მის ზანიზებულ ვარიანტად; სხვა თვალსაზრისის თანახმად მიუხედავად ძირისეული ხმოვნის სიგრძის პრობლემისა, კოდორი მიჩნეულია სვანურ **სკოდი** „ღრმა“ ლექსემიდან მომდინარედ - თავკიდური თანხმოვნის დაკარგვითა და **-ორ** ტოპოფორმანტიტ წარმოქმნილად (იხ. მარგიანი, 1998; ქუმბურიძე და სხვები, 2007). ხ. ბლაჟბა კოდორის ანალიზისას საჭიროდ მიიჩნევს პარალე-

ლების გათვალისწინებას ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე: კუდა-კო, კუდე-ფსტა სოჩის რეგიონში, კუდირ-თა ბზიფის რაიონში (ბლაჟბა, 1956). ზოგადად ითვლება, რომ ჰიდრონიმია არის ტოპონიმის ძველ-თაძველი და საინტერესო ნაწილი; წყალს, ზოგადად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანისათვის. კაცობრიობის ცივილიზაციის კერები, პირველი დასახლებანი სწორედ მდინარეებთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთი ზოგადტოპონიმოლოგიური კანონზომიერების თანახმად, დიდობიექტთა, განსაკუთრებით, მდინარეთა სახელები საუკუნეებში ცოცხლობენ და მოსახლეობის ეთნიკურ ცვლასაც კი უძლებენ.

ამრიგად, ალცუნესგა - დალის ხეობის „შუამდინარეთი“ - მდიდარი ონომასტიკური მასალის მომცველია. ძირძველი საქართველოს - აფხაზეთის ამ ერთი კონკრეტული სოფლის გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიური ძიებით, ტოპონიმთა, ჰიდრონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზით წარმოდგენილია მცდელობა ონომასტიკურ ერთეულთა სახელდებაში ლინგვისტურთან ერთად ექსტრალინგვისტური ფაქტორების წარმოჩენისა.

ლიტერატურა:

- მიბჩუანი, თ. (1989). დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- მარგიანი, ქ. (1998). დალის სვანეთის ტოპონიმია, ქართველური ონომასტიკა, I, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- მარგიანი, ქ. (2018). Dali Gorge – Linguoculturology, Interference, Ethnolinguistics, (according to the speech of Kodori Gorge population). Materials of the III International Research and Practice Conference „Интеграция научного сообщества перед глобальными проблемами современности“. ISBN 978-601-267-055-4 Япония. Киото.
- მარგიანი, შ. (2005). კოდორის ხეობის/დალის სვანეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა. კრებული „დალელთა იმედი“. თბილისი: გამომცემლობა „ენა და კულტურა“.
- მარგიანი, ქ. (2013). დალის ხეობის ტოპონიმის სტრუქტურული ანალიზი, ქართველური ონომასტიკა, VI. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ქალდანი, მ. (1970). დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- ჩანტლაძე, ი. მარგიანი ქ. მარგიანი-სუბარი ქ. იოსელიანი რ. (2007–2010). კოდორული ქრონიკები (გამოკვლევებითურთ), მასალები ქართველურ ენათა

შესწავლისათვის, X, (კვლევა განხორციელდა რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით). თბილისი: გამომცემლობა „გლობალ-პრინტი“.

ჭუმბურიძე და სხვები, (2007). ჭუმბურიძე, ზ. ნიჟარაძე, ლ. ქურდაძე, რ. სვანური ენა, (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი). თბილისი: გამომცემლობა „პეტიტი“.

Лавров, Л. (1950). Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века, КСИЭ. Москва-Ленинград: „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

Бгажба, X. (1956). Некоторые вопросы этнонимии, топонимии Абхазий, Труды Абхазского института языка, литературы и истории, т. XXVII. Сухуми: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

The village **laltsunesga** is located in the beginning of Dali (Kodori) Gorge, nearby Klukhor Pass, between **Saknara** and **Gvandralla** the tributaries to the river Kodori. Having taken into account the phonetic changes, laltsunesga in Svanian language literally means “**between two rivers**”, so it might be said that the village laltsunesga happens to be the “**Mesopotamia**” of Dali (Kodori) Gorge.

Discourse of Kodori residents is an interesting segment of Svan and generally Georgian dialectological field; From 80s of last century to present we work with the residents of Dali Gorge for the purpose of collection and systematization of onomastic and ethnolinguistic materials.

Unfortunately, nowadays laltsunesga, one of the oldest Georgian villages, is totally uninhabited and no Georgian (Svan) words have been heard about it since August, 2008, as well as about the whole Kodori Gorge, which has never been separated from Georgia during any period of the history of the country.

Dali Gorge is a historical part of the western Georgia, Abkhazia. In the antique period it was called Mivisianeti or Misimianeti, in the middle ages - Dali Gorge, in XIX century – Tsebelda Dali Sabokaulo (the area controlled by a certain police department), in the Soviet period it was called Abkhazian Svaneti, and in XXI century – Upper Abkhazia. Such a variety of the names speaks for itself, of the importance and special role of this gorge in the history of Georgia. After well-known facts taken place in 2008, residents from Kodori live under refugee status in various regions of Georgia – Imereti, Kvemo Kartli, Svaneti, also Russian Federation and Europe...

The gorge enjoys the most advantageous geographical location - Klukhori, Naharvi, Marukhi - Dali Gorge is the shortest way that connects the seaside region of the western Georgia with the North Caucasus. That explains

special importance and strategic functions assigned to this territory in every historical epoch. Toponymy of Dali's Gorge is characterized by lingual diversity and absolutely different chronology of designation.

Many famous researchers or kartvelologists got interested in Svan toponymy. Significant conclusions are also made as a result of study and research: analysis of toponymical material of Svaneti and its adjacent territories is clearly stated by the references of ancient Greek historian Strabo. In the toponymy of Racha-Lechkhumi, Upper Svaneti and mountainous Samegrelo the sign of Svan language is obviously found, meaning that once this territory was inhabited by Svans. Similar track is also found on the land of northern Caucasus. It is stated by that toponyms: Khumar (comp.Tskhumari), Ushkalan (comp.Ushkul) and others... (Chumburidze et al, 2007).

Microtoponymy of Dali Gorge is characterized by the abundance of environment describing terms. The Geographical phenomena and lexemes, such as – ravine, gorge, rock, the places where there used to be towers there, lake, mountain, brook, pass, hill, hillock, knoll, grassland, tower, cliff, slope, risen river, landslip, waterfall, mountain top... Including morphemoids – down, downwards, up, upward, eastern-western... Out of toponyms of Dali Gorge in the “Census of Kingdom of Georgia” written by Vakhushti Bagrationi in the 18th century we find “Kodori” as hydronym...

Svan Discourse of Dali Gorge is famous with its interference. It is very interesting segment of Georgian dialectological field. This publication gives an overview and structural-semantic analysis of the rich onomastic material including toponyms, names, surnames... of this specific village of Abkhazia. Kodori Gorge's materials are presented in the publication. Also, Svan's hydrographic vocabulary and terminology are explored here. Generally, in Svan language the formation of the hydrographic vocabulary and terminology was caused by the development of the inner nature of the language, dialectical varieties, word-borrowings and phonetical modification. From the point of semantic aspect, several subgroups can be identified within Svan toponymy, namely, the *toponyms*, *metonyms* and *hydronyms* related to the hunting activities, geographical names conditioned by landscapes and those referring to the origin and meaning of the names of religion activities. This paper is also an attempt to specify the etymology of several private names and to reveal extra linguistic factors along with linguistic factors.

The cultural anthropology of the Dali Gorge covers and integrates thematically key and Kartvelologically topical themes such as the Bronze Age and Hellenistic archaeological sites; history of Kodori Gorge; early medieval

fortresses, sites of former churches, houses for prayers and Christian monuments; onomastics (toponymy, anthroponymy, theonymy, hydronymy, zoonymy) of Dali Gorge; Kodorian Svan speech (interference picture, ethnolinguistic aspects) ... Consequently, interest in the Kodori Gorge, or Dali country (as the travelers of early periods call it!) is multifaceted.

Study of onomastic, folk and linguistic materials of Dali Gorge in general Georgian dialectological field under ethnolinguistic, interferential, linguoculturological aspects enables us to have made quite interesting conclusions.

References:

- Margiani, K. (1998). Dalis svanetis toponimia. [Toponymy of Dali Gorge]. Iv. Javakhishvili Tbilisi State University, The Collection of Scientific Works – Kartvelian Onomastics, I. Tbilisi: Publishing House “Tsu gamomtcmloba”.
- Margiani, K. (2018). Dali Gorge - Linguoculturology, Interference, Ethnolinguistics, (according to the speech of Kodori Gorge population). Materials of the III International Scientific-Practical Conference “Integration of the Scientific Community to the Global Challenges of our Time”, Volume I, ISBN 978-601-267-055-4 Kyoto, Japan.
- Kaldani, M. (1970). Dialekttha shereva kodoris kheobis svanurshi [Mixing of dialects in the Kodorian Gorge’s Svan], Iberian-Caucasian Linguistics, IKE, XVII. Tbilisi: Publishing House “Sakartvelos Metcnierebata Akademiis Gamomtcmloba”.
- Chantladze, I. Margiani K. Margiani-Subari K. Sagliani M. Ioseliani R. (2007-2010). kodoruli kronikebi, [Kodorian Cronicles]. Tbilisi: Publishing House “Global-printi”.
- Chantladze, I. (2002). Defektur zmnata taviseburebani Kodoris Kheobis Svanurshi, [Specifications of defective verbs in Kodori gorge Svanian language], Materials of 61 Scientific Session Arn. Chikobava Institute of Linguistics. Tbilisi: Publishing House “Ena da Kultura”.
- Chumburidze et al, (2007). Chumburidze, Z. Nijaradze, L. Kurdadze, R. Svanuri ena [Svan language]. Tbilisi: Publishing House “Petiti”.

სოფელ ვაზისუბნის ტოპონიმების სტრუქტურა

The Structure of Toponyms of Vazisubani Village

გიორგი ქიტოშვილი

Giorgi Kitoshvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ვაზისუბნის ტოპონიმები, ისტორიული სახელწოდება, მცენარის სახელები, გვარსახელები, სუპერსტრატული დანაშრეებები

Key words: Toponyms of Vazisubani, historical name, names of the plant, surnames, superstrate layers

სოფელი **ვაზისუბანი**¹ მდებარეობს გურჯაანის რაიონში, ალაზნის მარჯვენა მხარეს. სამხრეთით ესაზღვრება სოფ. მუკუზანი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – სოფ. ველისციხე, ჩრდილოეთით – სოფ. შაშიანი, დასავლეთით – ცივ-გომბორის კალთები. უშანგ სახლთხუციშვილის ჩანაწერების მიხედვით, სოფლის სახელწოდება თავდაპირველად **ორთუბანი** ყოფილა (ორ უბნად იყო დასახლებული). მოგვიანებით შეეცვალა სახელი, ურიათუბანი დაერქვა. ეს **ისტორიული სახელწოდება** 1735 წლამდეა შექმნილი, რადგანაც ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ატლასში“ სწორედ ამ სახელითაა წარმოდგენილი (ბაგრატიონი, 1997, გვ. 4). ტოპონიმურ მასალასა და ხალხურ გადმოცემაზე დაყრდნობით, სოფლის სახელწოდება ებრაელ მოსახლეობას არ უნდა უკავშირდებოდეს. ცნობილია ტოპონიმის სახელდების მოტივი: კერძოდ, ხალხური გადმოცემით, ლეკიანობის დროს სოფლის ორი უბნიდან ერთი არ დახმარებია მეორეს. ცუდი მეზობლობის გამო უბნის მოსახლეობას დაცინვით ურიები შეარქვეს, უბანს კი – **ურიათუბანი***. დროთა განმავლობაში უბნები შეერთდა, სახელი კი ძველი, ურიათუბანი, დარჩა. თუ ამ გადმოცემას მივყავართ და გავითვალისწინებთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ლეკიანობა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დაიწყო (ბერძენიშვილი, 1968, გვ. 9-10), გეოგრაფიული სახელი ურიათუბანი XVI საუკუნის შუა წლებიდან XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე (1735 წლამდე) უნდა ჩამოყალიბებულიყო. როგორც ადგილობრივები აღნიშნავენ, ურიათუბანი, საბჭოთა მასშტაბით, ერთ-ერთი მოწინავე სოფელი ყოფილა ყურძნის ექსპორტის თვალსაზრისით. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, 1951 წელს ურიათუბანს **ვაზისუბანი** დაერქვა (ქსე, ტ. IV, 1979, გვ. 270).

სოფელი **ურიათუბანი** მჭირდოდ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა გვიან შუა საუკუნეებში. იოანე ბატონიშვილის თქმით, 1757 წლამდე ურიათუბანი საქრემლოს ეპარქიაში შედიოდა, ხოლო შემდეგ – ნინოწმინდისაში (ბატონიშვილი, 1986, გვ. 69). 1930 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, სოფელი ურიათუბანი გურჯაანის რაიონს მიეკუთვნებოდა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ეროვნებით ქართველი, ერთი მესამედი სომეხი, ხოლო რამდენიმე სული რუსი და ლეკი გახლდათ (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1961, გვ. 22).

1 მასალა 1979 წელს ჩაიწერა პროფესორმა უშანგ სახლთხუციშვილმა, არსებულ წყაროზე დაყრდნობით შევავსე და დავაზუსტე ტოპონიმთა ზუსტი ადგილმდებარეობა და სახელდების მოტივაცია (ჩემ მიერ დაზუსტებულ ერთეულებს *-ით აღვნიშნავ).

დღევანდელი მონაცემებით, სოფელში 105 გეოგრაფიული სახელია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქართული ენის ლექსიკურ ბაზაზეა წარმოქმნილი, **სუპერსტრატული დანაშრევები არ იძებნება**. ქვემოთ განხილულია ტოპონიმთა სტრუქტურული ჯგუფები.

სოფლის ტოპონიმური მასალიდან ყურადღებას იქცევს მცენარეთა სახელებით ნაწარმოები ტოპონიმები. თავად **ვაზისუბანიც*** მცენარის სახელისგანაა მიღებული. ნათესაობით ბრუნვაში მდგარი მსაზღვრელი (**ვაზის**) ისეა შეზრდილი საზღვრულთან (**უბანი**), რომ დაუცალკევებელი ფორმა „გაქვავებუღია“. ამავე პრინციპითაა ნაწარმოები **ვერხვისუბანი*** (უბანი სოფლის ცენტრში. მის ტერიტორიაზე დიდი ვერხვის ხე იდგა). აქაც მსაზღვრელ-საზღვრული გამყარებული ფორმისაა, ამგვარად წარმოქმნილი ტოპონიმები ერთად იწერება (აფრიდონიძე, 1983, გვ. 49). სახელის ტოპონიმურობის ხარისხი გაიზრდება, თუ სართის კონსონანტური ნაწილი (**-ს**) დაიკარგება, მაგ.: **შვინდიყელი** (ტყე მღვრიეხევის შუა წელზე. ბევრი შინდი იზრდება ამ ადგილებში).

ბარდალოს ახო* - სახნავი. ერთი ვერსიით, ლექსემა ბარდისაგან (ეკალი) მომდინარეობს. თუმცა ტოპონიმის სახელდება უფრო ადრეულ პერიოდში უნდა ვივარაუდოთ, კერძოდ, მიწის თავდაპირველ დამუშავებამდე („გატეხვამდე“), აქ მარცვლოვანი მცენარე ბარდალო („ბაჩღარო - ცვადებაღი ცეხცვეღა“, განმარტებისათვის იხ. მაყაშვილი, 1961, გვ. 260) ხარობდა და დღესაც დასტურდება მიმდებარე ტერიტორიაზე. სწორედ მას უნდა უკავშირდებოდეს ეს ადგილსახელი. ახო, თავის მხრივ, „გაკაფულ საყანურს“, ან, „საყანედ გაკაფულ ადგილს“ ნიშნავს (ორბელიანი, 1991, გვ. 89; ელერდაშვილი, 2006, გვ. 98).

ზიმარტლის მინები* - სახნავი სოფლის დასაწყისში, სამხრეთ ნაწილში. ქიზიყურ კილოში ზიმარტლი ზღმარტლის ვარიაციაა (ლლონტი, 1974, გვ. 127). ამ ადგილას ზღმარტლი ხარობდა.

ხურმის მინები* - ვენახი **ჩიხის** გვერდით. ძველად ამ ადგილას დიდი ხურმის ხე მდგარა.

თხილის წყარო; თხილის ხევი. ამგვარ ტოპონიმებში ჯერ კიდევ ძლიერია მსაზღვრელის სემანტიკური დატვირთვა, იგი მორფოლოგიურად გაცვეთილი არაა. შ. აფრიდონიძის პრინციპის გათვალისწინებით (აფრიდონიძე, 1983, გვ. 58), ანთროპონიმებითა და ტოპონიმებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელების მსგავსად (შდრ.: გომების წყარო), მცენარეთა სახელებით წარმოქმნილი მიკროტოპონიმებიც დავწერეთ განცალკევებულად (იმ შემთხვევაში, თუ სინტაგმაში ნათესაობითში მდგომი სახელი სრულადაა წარმოდგენილი, მაგ.: ზიმარტლის

მინები). აღსანიშნავია ისიც, რომ მათში მაკროტოპონიმად ქცევისკენ მიდრეკილება ნაკლებად შეიმჩნევა.

ვაზისუბნის ტოპონიმების უმეტესი ნაწილი პატრონიმული ოიკონიმია. ტოპონიმები შედგენილი ფუძისაა. ძირითადად მეტსახელისაგან მიღებული გვარსახელითაა წარმოებული, შესაბამისად, აღნიშნავს გვარების, ან შტოგვარების საცხოვრებელ ადგილს, ან კუთვნილ ტერიტორიას: **აბაზაანუბანი, ბრაგვაძიან(თ)უბანი, გოგნაანუბანი, დათუნაანუბანი, თადიაანუბანი// თადიანთუბანი, კანაანუბანი, ლონდრიაან(თ)უბანი, მანანიაანუბანი, მეკოკიაანუბანი, მღებრიაან(თ)უბანი, რევაზაანუბანი, როსტიაანუბანი, სოლომნიაანუბანი, ღარიბაან(თ)უბანი, შაქარაანუბანი, ჭარაქაანუბანი, ხეროაანუბანი.**

გვარსახელი ტოპონიმის ფორმირების პირველ ეტაპზე ნათესაობითში მდგომი კუთვნილების გამომხატველი მსაზღვრელის სახით გვევლინება. შესაბამისად, დაინერება ცალკე: მაგ.: **მახარიანთ ნაკალოვრები, კოტელაანთ კორომი, ტაკულაანთ ახო//კაკულაანთ ახო.** თუმცა, როგორც ვნახეთ, გვარსახელებით ნაწარმოები პატრონიმული ტოპონიმების სინტაგმები მიდრეკილია შეზრდისაკენ (შდრ.: აბაზაანუბანი).

ანთროპონიმული (მეტსახელით) მსაზღვრელით გამოხატულ კუთვნილებით ტოპონიმებში სინტაგმის შერწყმა ნაკლებ დამახასიათებელია: **ანაქალოს მინები*** (ქალს ეკუთვნოდა, სახელად ანას), **ბერიას ახო*, ბუის მინები*** („ბუვი - დიდთვადება და თმაგაწეწიდი ადამიანი“ (სახლთხუციშვილი, 2003, გვ. 72), **კვანჭილას ახო***; **ნაგუცას მუხა*, ბაბუკელი(ს)ბალი*** - ამ უკანასკნელში სუბსტანტიური მსაზღვრელის „გაცვეთა“ დასრულების პროცესშია (შდრ.: **გვერდიბოლო**). აქვე უნდა ითქვას, რომ სხვა შემთხვევებში ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შედეგად გატოპონიმება ახასიათებს ატრიბუტულ მსაზღვრელსაც, მაგ.: **ბალახიანსერი*.**

სოფლის ტოპონიმების ერთი ნაწილი თავად გეოგრაფიული სახელის კუთვნილებას გამოხატავს: **გომების წყარო*, გურგვალსერის აღმართი*, ვაზისუბნის ხევი*, კოდის წყარო.** ამ ტიპის საკუთარ სახელებში აპელატივები (**წყარო, აღმართი, ხევი**) გვიჩვენებენ მაკროტოპონიმთან (იგულისხმება ფართობით შედარებით დიდი ტოპონიმი) მიმართებას. შესაბამისად, მატოპონიმებელი ფუნქცია ამ უკანასკნელებს (გომების, გურგვალსერის, ვაზისუბნის, კოდის) ენიჭება.

ამრიგად, **ვაზისუბნის** ისტორიული სახელი **ურიათუბანია**; სოფლის ტოპონიმურ მასალაში **სუპერსტრატული დანაშრევები** არ

გვხვდება; მატოპონიმებელი ფუნქცია ძირითადად ეკისრება პატრონიმებს, მცენარეთა სახელებსა და გეოგრაფიული გარემოს სახელწოდებებს; პატრონიმები მეტწილად გვარსახელად ქცეული მეტსახელითაა წარმოებული; გვარსახელით (პირსახელისაგან განსხვავებით) ნაწარმოები ტოპონიმების სინტაგმები მიდრეკილია შებრდილფუძიანობისაკენ; მცენარეთა სახელებით ნაწარმოები მიკროტოპონიმების ნაწილი სინტაგმის სახით წარმოდგება.

ლიტერატურა:

- აფრიდონიძე, შ. (1983). რთული შედგენილობის მიკროტოპონიმთა მართლწერილობის, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, ტ. V. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ბაგრატიონი, ვ. (1997). საქართველოს ატლასი. თბილისი: გამომცემლობა „კარტოგრაფიული ფაბრიკა“.
- ბატონიშვილი, ი. (1986). ქართლ-კახეთის აღწერა (ტექსტი მოამზადეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ბერძენიშვილი, ნ. (1968). ლეკიანობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში: „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წიგნი 2. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ელერდაშვილი, ა. (2006). უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი: გამომცემლობა „ფანტაზია“.
- კემულარია, მ. (2013). ქვემო ქართლის ტოპონიმია. თბილისი: გამომცემლობა „ართანუჯი“.
- მაყაშვილი, ა. (1961). ბოტანიკური ლექსიკონი: მცენარეთა სახელწოდებანი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ორბელიანი, ს.-ს. (1991). ლექსიკონი ქართული. ტ. I. (გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ). თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
- საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, (1961). გამოცემა მეორე.
- სახლთხუციშვილი, უ. (2003). გარეკახური ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
- ქსე, ტ. IV, (1979). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (1979). ტ. IV. თბილისი: მთავარი სამეცნიერო რედაქცია.
- ღლონტი, ა. (1974). ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. ნ. 1, 2. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

The paper focuses on the structure of toponyms of Vazisubani village in Gurjaani Municipality (Georgia).¹ The historical name of Vazisubani is **Uria-tubani**, and even earlier name is **Ortubani**.

According to contemporary data, there are 105 geographical names in Vazisubani. Their absolute majority are created on the Georgian lexical basis. **There are no superstratum layers.**

Special mention should be made of toponyms based on plant names. The very toponym **Vazisubani*** is derived from a plant name (vazi means vine in Georgian). The attribute in the genitive case (**vazis**) is combined with the modified noun (**ubani - district**). Another toponym based on the same principle is **Verkhvisubani*** (the district where a large asp tree used to stand. Verkhvi means asp in Georgian). In such toponyms, the root morphemes are written together (Apridonidze, 1983, p. 49). The toponymic nature of the noun will enhance if the consonantal part of the affix (**-s**) is lost, for instance: **Shvindi[s]qeli** (a place where cornelian cherries grow. Shvindi means cornelian cherries in Georgian).

Bardalos Akho*. According to one version, this toponym is derived from shrubs (thorns). Yet, in my opinion, the toponym appeared earlier, before the initial cultivation of land. On the given territory, a granular plant “bardalo” (cow vetch) was widespread (for the definition of cow vetch, see Maqashvili, 1961, p. 260). This plant is still found on the given area, and the toponym is, most probably, related to this plant.

Zimartli lands* - ploughlands at the beginning of the village. In Kiziqi dialect of the Georgian language, Zimartli is a variant name of Zghmartli - medlar (Ghlonti, 1974, p. 127) which was widespread in this area.

Khurmis Mitsebi* - is a name of a vineyard, derived from a large persimmon tree which stood here (khurma is a Georgian name for persimmon).

Tkhilis Tskaro (nut spring), Tkhilis Khevi (nut ravine). In such toponyms, the semantics of the modifier is strong, and the modifier is not morphologically weakened. Based on Sh. Apridonidze, (Apridonidze, 1983, p. 58), like geographical names derived from anthroponyms and toponyms (cf: Gomebis Tsqaro – stall spring), the microtoponyms derived from plant names are given separately in the paper (in case the noun in the genitive is represented in its full form in the syntagm, e.g. Zimartlis Mitsebi). It should also be mentioned, that such place names rarely turn into macrotoponyms.

1 The material was recorded in 1979 by Prof. Ushangi Sakhltkhusishvili. Based on this source, I enriched the material and identified the exact location of toponyms and the motivation of naming (the units identified by me are marked with an asterisk *).

The majority of Vazisubani toponyms are patronymic oeconyms, consisting of two roots. They mostly represent surnames obtained from nicknames and denote the residence of people under this or that surname or a territory belonging to the family having this or that surname: **Abazaanubani, Bragvadian(t)ubani, Gognaanubani, Datunaanubani, Tadiaanubani//Tadiantubani, Kanaanubani, Londriaan(t)ubani, Mananiaanubani, Mekokiaanubani, Mghebriiaan(t)ubani, Revaziaanubani, Rostiaanubani, Solomniaanubani, Gharibaaan(t)ubani, Shakaraanubani, Charakaanubani, Khechoaanubani.**

On the initial stage of formation of toponyms, names and surnames are given in the form of a modifier in the genitive case, denoting possession. Therefore, the modifier and the modified are written separately, for instance: **Kakulaant Akho.** However, as we have seen, the syntagms of patronymic toponyms derived from names and surnames show a tendency to be written together (cf: Abazaanubani).

The syntagms are rarely combined in case of toponyms of possession derived from anthroponyms (nicknames): **Anakalo Lands*** (the lands that used to belong to a woman whose name was Ana) and so on.

Some toponyms of the village under analysis (microtoponyms) denote possession of the geographical name (macrotoponym) itself: **Vazisubnis Khevi* (Vazisubani ravine) etc.** In the proper names of this type, the appellative, e.g.: **Khevi (ravine)** shows an attitude to the macrotoponym. Hence, the function of a toponym is expressed by the modifier (Vazisubani).

Thus, the superstratum layers are not found in the toponyms of **Vazisubani** village. The function of toponyms is usually expressed by patronyms, plant names and geographical names. Patronyms are mostly represented by nicknames, which have turned into names and surnames. Unlike the toponyms expressed by means of real names and surnames (personal names), the toponyms based on nicknames are usually written together. Some microtoponyms derived from plant names are given in the form of a syntagm.

References:

Apridonidze. sh. (1983). Rtuli shedgenilobis mikrotoponimta martltserisatvis, "Kartuli sitqvis kulturis sakitkhebi". [For the spelling of complex composition of microtoponyms, "Issues of Georgian Culture Speech"], vol. V. Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

Ghlonti, A. (1974). Kartul kilo-tkmata sitqvis kona. [Georgian Dialectical Collection].Vol. I, II. Tbilisi: Publishing House "Ganatleba".

Maqashvili, A. (1961). Botanikuri leksikoni: mtsenareta sakheltsodebani [Botanical Dictionary: Plant Names]. Tbilisi: Publishing House "Sabchota Sakartvelo".

ონომასტიკური მასალა ქართველურ ენათა
ანდაზებში: მარკირება და განზოგადება

Onomastic Material in the Proverbs of Kartvelian
Languages: Marking and Generalization

გიორგი ჯღარკავა

Giorgi Jgharkava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ლინგვისტიკა, ქართველური ენები, პარემიოლოგია,
ანდაზა, ონომასტიკა

Key words: Linguistics, Kartvelian languages, paremiology, proverb, onomastics

ანდაზების ლექსიკის შესწავლას და არსებული თემატური ველების დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან პარემიების ლექსიკური ფონდი მაქსიმალურადაა დაახლოებული ყოველდღიურ მეტყველებასთან (ლეჟავა, 1959). ანდაზის სოციალური ხასიათი დიდწილად განაპირობებს იმასაც, რომ კონკრეტული სიტყვის ფორმამ და შინაარსმა შეიძლება მიანიშნოს ანდაზის წარმოშობის და/ან გავრცელების ადგილზე. როგორც არსებული ემპირიული მასალის ანალიზმა აჩვენა, მონათესავე ქართველურ ენათა ოჯახის ფარგლებშიც შეიძლება გამოჩნდეს თემატურ-შინაარსობრივად განსხვავებული, ლოკალური ნიშნით მარკირებული პარემიული ერთეულები (ჭლარკავა, 2020). ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ანდაზებში წარმოდგენილი ონომასტიკური მასალა.

- ანთროპონიმები

მეგრული მასალა:

(1) ახალაიაშ ოსურეფი პატარაიაშ ოსურეფს მიშარაგადანდესია. (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 16). „ახალაიას ცოლები პატარაიას ცოლებში გაერეოდნენ და ლაპარაკობდნენო“.

მოცემული ანდაზა გვეუბნება, რომ ახალაიას ცოლები ცდილობდნენ პატარაიას ცოლებთან დაახლოებას, რაც მიანიშნებს ერთი გვარის უპირატესობას მეორესთან შედარებით. ივარაუდება, რომ ანდაზის შინაარსი ამოსავალში **განსაზღვრული (მარკირებული)** იყო ისტორიულად დადასტურებული სოციალური უპირატესობით; ეს ეხებოდათ ამა თუ იმ გვარის კონკრეტულ წარმომადგენლებს. ანდაზა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მუდმივად **განზოგადებისკენაა** მიმართული. ზემოთ მოყვანილ პარემიასაც დღეს ზოგადი შინაარსი უფრო აქვს, კონკრეტულ გვარებთან მიმართება კი უკანა პლანზეა გადაწეული (ამას ადასტურებს მეგრულში ამავე შინაარსის ანდაზები სხვა ანთროპონიმების მონაწილეობით. იხ. შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 16).

ამგვარად მარკირებული ანდაზების განზოგადების მაგალითად გამოდგება შემდეგი პარემიებიც:

(2ა) სონი ჩიქახე, სო მიშახე. „სადაური ჩიქავას ასული სად ჩამჭდარაო“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 124);

(2ბ) სონი ჯიქახე, სო მიშახე. „სადაური ჯიქიას ასული სად ჩამჭდარაო“ (ხალხ. სიტყვ. II, 1991, გვ. 526);

(2გ) სონი მიქახე, სო დიშახე. „სადაური მიქავას ასული სად ჩამჭდარაო“ (ექსპ. მასალები).

მოცემულ ანდაზებში დადასტურებული კონკრეტული რეფერენტებიც დროთა განმავლობაში განზოგადებულ ხასიათს იძენენ. გა-

რდა ამისა, ზემოთ წარმოდგენილი (2ა), (2ბ) და (2გ) მაგალითები სხვა თვალსაზრისითაცაა საინტერესო. კერძოდ, მათი მარკირების დამატებითი საფუძველია ანდაზისთვის დამახასიათებელი რიტმულობა, შემადგენელი კომპონენტების ერთმანეთთან გარითმვა (შდრ. ჩიქახე – მიშახე, ჭიქახე – მიშახე, მიქახე – დიშახე).

ემპირიული მასალის მიხედვით საინტერესო სურათს გვიჩვენებს **ტოპონიმების** მონაწილეობით შექმნილი ანდაზები, რომელთა ლოკალური ნიშნით მარკირება სწორედ გეოგრაფიულ სახელებს უკავშირდება. განზოგადების მაჩვენებელია როგორც ტოპონიმების მრავალფეროვნება (შდრ.: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტოპონიმები, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმები ლაზურში), ასევე მასში მოცემული სიბრძნე-დარიგება.

- ტოპონიმები

მეგრული მასალა:

(3) ხორგას კოჩი გოლახეს დო ხეთას გურქ მურთუა. „ხორგაში კაცი გალახეს და ხეთაში გული მოუვიდაო“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 185).

შდრ. ქართული ანდაზაც: ერთი კაცი გორში გალახეს და გული ცხინვალში მოუვიდაო (ჭორჭანელი, 2003, გვ. 81).

ლაზური მასალა:

(4) პოლის ჭუმორი დვაბერენან დო ნჩხალას ხარჯი იკვანტერენან. „სტამბოლში ძმარი დაეღვართ და ჩხალაში ხარჯს ითხოვდენო“ (შეროზია & მემიშიში, 1994, გვ. 249).

სვანური მასალა:

(5) ეგრუაღე ჯენის ესერ ესფეშუდა ი გადრანჳრს კჳცხთე ხჳწრა-ლა. „ვიღაც ჯენის ღელეში დაცემულა და გადრანების გვარს სოფ. კაცხამდე აგინებდაო“ (დავითიანი, 1973, გვ. 123).

ამრიგად, ქართველურ ენათა პარემიებში ლოკალური თავისებურებების მარკირება ხშირად ონომასტიკური მასალის საშუალებით ხდება, თუმცა ანდაზა მიისწრაფვის განზოგადებისკენ და გადმოგვცემს საყოველთაო სიბრძნეს, რომელიც ყველგან და ყველასთვის გასაგები და გამოსაადგია.

ლიტერატურა:

დავითიანი, ა. (1973). სვანური ანდაზები, თბილისი: „მეცნიერება“.

ლეჟავა, ლ. (1959). ქართული ანდაზების ენა, ქართველურ ენათა სტრუქტურის

საკითხები, ტ. I, 139-264, თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

შეროზია რ., მემიშიში თ. (1994). მეგრული და ლაზური ანდაზები, თბილისი: „მსგეფსი“.

ხალხ. სიტყვ. II (1991). ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები)

II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კორნელი დანელიამ და აპოლონ ცანავამ, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ჯორჯანელი, კ. (2003). რჩეული ქართული ანდაზები, თბილისი: „მერანი“.

ჯლარკავა, გ. (2020). ქართველურ ენათა ანდაზების ლექსიკურ-თემატური

მასასიათებლები, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული №2, 149-155, თბილისი.

კვლევა [PHDF-21-125] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

Analysis of the vocabulary of proverbs and identification of the existing thematic fields is extremely important, because the lexical fund of paremic units is very close to everyday speech (Lezhava, 1959). Due to the social nature of proverbs, the form and content of a concrete word may point to the place of origin and/or spreading of the proverb. Analysis of the empirical material has proved that even within the related Kartvelian languages there may be thematically diverse paremic units, marked by the influence of local peculiarities (Jgharkava, 2020). In this regard, special focus should be made on the onomastic material represented in proverbs.

- Anthroponyms

Megrelian material:

(1) axalalaiaš osurepi paṭaraiaš osureps mišaragadandesia. (Sherozia & Memishishi, 1994, p. 16). “The Akhalaiaš wives mix with the Pataraias’ wives“.

The given proverb says that wives of the Akhalaia family tried to establish close relationships with the wives of the Pataraiia family. The proverb implies the supremacy of the Pataraiia family over the Akhalaiaš. Thus, the content of the proverb was, from the very start, **defined (marked)** by the historically proved social supremacy of certain families. Due to its very nature, a proverb is always inclined to **generalization**. The above-mentioned paremic unit is nowadays quite general in its content, whereas the social status of certain families is of secondary importance (this can be proved by Megrelian proverbs of the same meaning, containing different anthroponyms. See Sherozia & Memishishi, 1994, p. 16).

Generalization of such marked proverbs can be proved by other examples as well:

(2a) soni čikaxe, so mišaxe. “Fancy where Chikava’s daughter has happened to be” (Sherozia & Memishishi, 1994, p. 124);

(2b) soni žikaxe, so mišaxe. “Fancy where Jikia’s daughter has happened to be” (Folk Speech. II, 1991, p. 526);

(2c) soni mikaxe, so dišaxe. “Fancy where Mikava’s daughter has happened to be” (field materials).

The concrete referents found in the above-mentioned proverbs become generalized with time. The examples (2a), (2b) and (2c) presented above are also interesting from another viewpoint. In particular, the additional basis of their marking is the rhythmic nature of proverbs i.e. the rhyming of the constituent words (cf. čikaxe – mišaxe, žikaxe – mišaxe, mikaxe – dišaxe).

The empirical material has yielded another important topic for analysis, namely, the proverbs based on **toponyms**, the local marking of which is related to geographical names. In this case, generalization can be proved by the diversity of toponyms (cf. toponyms of Eastern and Western Georgia, as well as the toponyms currently on the Turkish territory mentioned in the Laz proverbs) as well as the wisdom-advice provided in the proverbs.

- Toponyms

Megrelian material:

(3) xorgas koči golaxes do xetas gurb murtua. “The man who was beaten in Khorga, got angry in Kheta” (Sherozia & Memishishi, 1994, p. 185).

Cf. a Georgian proverb: erti kaci gorši galaxes da guli cxinvalši mouvidao (A man was beaten in Gori and got angry in Tskhinvali) (Jorjaneli, 2003, p. 81).

Laz material:

(4) p̄olis žumori dvaberenan do nčxalas xarži iḳvanḱerenan. “Someone spilled vinegar in Istanbul and demanded recuperation of damage in Chkhala” (Sherozia & Memishishi, 1994, p. 249).

Svan material:

(5) jerûale qenis eser espešûda I gadranärs ḳäcxte xäçrala. “A man fell down in the Kheni gorge and cursed the Gadrani family all the way until he reached Katskhi village” (Davitiani, 1973, p. 123).

Thus, in the Kartvelian proverbs, the local peculiarities are often marked based on the onomastic material, although proverbs are inclined to generalization and provide universal wisdom which is useful in every place and understood by everyone.

References:

- Davitiani, A. (1973). Svanuri andazebi [Svan Proverbs], Tbilisi: "Metsniereba".
- Lezhava, L. (1959). Kartuli andazebis ena [Language of Georgian Proverbs], Kartvelur enatastrukturis sakitxebi [Issues of the Structure of Kartvelian Languages], Vol. I, p. 139-264, Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR.
- Sherozia, R., Memishishi, O. (1994). Megruli da lazuri andazebi [Megrelian and Laz Proverbs], Tbilisi: "Msgepsi" Publishing House.
- Khalkh. Sitqv. II (1991): Kartuli khalkhuri sitqviereba (megruli tekstebi) [Georgian Folk Speech (Megrelian Texts)], The text was prepared for publication, with introduction, remarks and research attached by Korneli Danelia and Apolon Tsanova, Tbilisi: Tbilisi University Press.
- Jorjaneli, K. (2003): Rcheuli kartuli andazebi [Selected Georgian Proverbs], Tbilisi: "Merani" Publishing House.
- Jgharkava, G. (2020): Kartvelur enata andazebis leksikur-tematuri makhasiateblebi [Lexical-Thematic Characteristics of Proverbs of Kartvelian Languages], Collection of Scientific Papers, №2, p. 149-155, Tbilisi: East European University Publishing House.

This research [PHDF-21-125] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

ანთროპონიმები „ვეფხისტყაოსნის“
ინგლისურ თარგმანებში
(ზოგი ყრუ ფშვინვიერი ბგერის შემცველი სახელების
მაგალითზე)

The Anthroponyms in the English Translations
of “The Knight in the Panther’s Skin”
(On the Example of Certain Names Containing Voiceless
Aspirated Sounds)

რამაზ ქურდაძე

Ramaz Kurdadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, ანთროპონიმები, თარგმანი, ყრუ
ფშვინვიერი ბგერები

Key words: “The Knight in the Panther’s Skin”, anthroponyms, translation, voiceless
aspirated sounds

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები მრავალხრივ იქცევს ყურადღებას. ამჯერად გვინდა განვიხილოთ პოემის ანთროპონიმებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ინგლისურ თარგმანებში. როგორც ცნობილია, ინგლისურად პოემის ექვსი თარგმანი არსებობს, ესენია: მარჯორი უორდროპის, ვენერა ურუშაძის, ქეთრინ ვივიენის, რობერტ სტივენსონისა და ლინ კოფინის თარგმანები. ამათგან პოემასთან ზედმინევნით მიახლოებულია მარჯორი უორდროპის თარგმანი, თუმცა იგი არაა პოეტური. ვ. ურუშაძისა და ლ. კოფინის თარგმანები პოეტურია; ქ. ვივიენისა და რ. სტივენსონის – პროზაული. არსებობს ავთანდილ არაბულის მიერ მოთხრობილი „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის ინგლისური თარგმანი პროზად, რომელიც ჯეფრი გოსბის შეუსრულებია.

ინგლისურ თარგმანებში „ვეფხისტყაოსნის“ ანთროპონიმები საინტერესო საკითხებს აღძრავს; ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ მხარეზე, კერძოდ, საკუთარ სახელთა ზოგიერთი ქართული ბგერის გადმოცემის შესახებ ვისაუბრებთ.

როგორც ცნობილია, ქართულში სამეულების ყრუ თანხმოვნები ორ ჯგუფად იყოფა: ყრუ ფშვინვიერებად და ყრუ მკვეთრებად. ფონეტიკური თავისებურების გამო სხვა ენაზე გადატანისას, ჩვეულებრივ, ამ თანხმოვნებს გრაფიკულად განასხვავებენ. ეს განსხვავება კარგად ჩანს საერთაშორისო ფონეტიკურ ანბანში (IPA-ში), კერძოდ:

ყრუ ფშვინვიერი		ყრუ მკვეთრი	
ქართ.	IPA	ქართ.	IPA
ფ	/p ^(h) /	პ	/p'/
თ	/t ^(h) /	ტ	/t'/
ც	/ts ^(h) /	წ	/ts'/
ჩ	/tʃ ^(h) /	ჭ	/tʃ'/
ქ	/k ^(h) /	კ	/k' /
		ყ	/q'/

ჩვენი ყურადღება სწორედ ამ თანხმოვნების შემცველმა ანთროპონიმებმა მიიქცია „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში.

ბუნებრივია, მთარგმნელს არ მოეთხოვება ამა თუ იმ ნაწარმოების პერსონაჟთა საკუთარი სახელების გადატანისას დაიცვას ფონეტიკური წესები, რათა შეინარჩუნოს ამ სიტყვათა თავდაპირველი ხმიანობა, თუმცა ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგ მთარგმნელს უცდია ანთროპონიმთა ნაწილი თავისებურად გადაეტანა, რათა მათი ნაკითხვა ერთგვარად დაეახლოებინა ორიგინალური ჟღერადობისათვის. ოღონდ საყურადღებო ის გახლავთ, რომ

მათ განსხვავებული საშუალებებით სწორედ ყრუ ფშვინვიერი ბგერები გადმოუციათ და არა ყრუ მკვეთრი თანხმოვნები, რომლებიც ქართულისათვის სპეციფიკურია¹; თუმცა მთარგმნელების მიერ შემოთავაზებული ყრუ ფშვინვიერი ბგერების გადმოცემის „ერთგვარი წესები“ ბოლომდე არ არის გატარებული.

ამრიგად, ჩვენი ინტერესის სფეროში, ფაქტობრივად, პოემის სახელთაგან ისინი აღმოჩნდა, რომლებშიც ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნები შედის. აღნიშნული თარგმანებიდან ჩვენთვის საინტერესო ანთროპონიმებს ცხრილის სახით მოვიყვანთ და შემდეგ წარმოვადგენთ მსჯელობას²:

შოთა რუსთაველი	მარჯორი უორდროპი	ვენერა ურუშაძე	ქეთრინ ვივიენი	რობერტ სტივენსონი	ლინ კოფინი	ჯეფრი გოსბი
ავთანდილი	Avt'handil	Avtandil	Avtandil	Avtandil	Avtandil	Avtandil
ასმათი	Asmat'h	Asmat	Asmat	Asmat	Asmat	Asmat
დილარგეთი	Dilarget'h	Dilarget	Dilarget	Dilarget	Dilarget	
თამარი	T'hamara	Tamar	Thamar	Tamar	Tamar	
თინათინი	T'hinat'hin	Tinatin	Tinatin	Tinatin	Tinatin	Tinatin
თმოგველი	T'hmogveli	Tmogveli	Tmogveli	Tmogveli	Tmogveli	
რუსთაველი /რუსთველი	Rust'haveli	Rustaveli	Rustaveli / Rust'veli ³	Rustaveli	Rustaveli	Rustaveli
ფარსადანი	P'harsadan	Parsadan	Pharsadan	Parsadan	Parsadan	Parsadan
ფატმან ხათუნი/ ფატმანი	P'hatman Khat'hun / P'hatman	Patman Khatun / Patman	Phatman Khatun / Phatman	Fatima Khatun / Fatima	Patman Khatun / Patman	Patman
ფრიდონი	P'hridoni	Pridon	Phridon / Nuradin-Phridon	Pridon / Nuradin Pridon	Pridon	Nuradin Pridon
შავთელი	Shavt'heli	Shavteli	Shavteli	Shavteli	Shavteli	

- 1 ყრუ მკვეთრებს, ჩვეულებრივ, განსხვავების გარეშე, შესაბამისი ინგლისური ვარიანტით წარმოადგენენ, მაგ.: ტ-ს გადმოსცემენ მხოლოდ t-თი: ტაჩიელი - Tariel, ნესტანი - Nestan და სხვ.
- 2 ჯ. გოსბის თარგმანის მიხედვით ცხრილში წარმოდგენილი სახელები არასრულია, რის გამოც რამდენიმე გრაფა ცარიელია, რადგან თვით თარგმანი მონათხრობს მიჰყვება, მოკლეა და ამიტომ მასში ჩვენთვის საინტერესო ყველა სახელი არაა გამოყენებული.
- 3 ქ. ვივიენს ქართული თ ორგან ინგლისურად გადააქვს აპოსტროფით – t', მაგრამ ეს სხვაგვარად აიხსნება: ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ქ. ვივიენი წერს შემოკლებულ ფორმას, *რუსთველს* - Rust'veli, ანუ ეს აპოსტროფი ამ შემთხვევაში შემოკლების მაჩვენებელია, რადგან, როცა მთარგმნელი *რუსთაველს* წერს სრულად, იქ აპოსტროფი აღარ გვხვდება: Rustaveli.

წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით, ჩანს, რომ ვ. ურუშადის, რ. სტივენსონის, ლ. კოფინისა და ჯ. გოსბის თარგმანებში „ვეფხისტყაოსნის“ ანთროპონიმებში შემავალ ყრუ ფშვინვიერ ბგერებს არანაირი განმასხვავებელი ნიშანი არ ახლავს, ასევეა გადმოცემული ყრუ მკვეთრებიც, ანუ ამ მთარგმნელებს საერთოდ არ უცდიათ ამ თვალსაზრისით რაიმე განსხვავება წარმოედგინათ.

თუმცა ზოგ თარგმანში აშკარად განსხვავებულად ვხვდებით „ვეფხისტყაოსნის“ საკუთარ სახელებს. კერძოდ, მ. უორდროპი ყრუ ფშვინვიერ **თ** და **ფ** ბგერებს გადმოსცემს შესაბამის ინგლისურ ბგერებზე აპოსტროფისა და **h**-ის დამატებით: **თ – t’h** და **ფ – p’h**. ასეა სახელებში: *Avt’handil, P’harsadan* და სხვ. (იხ. ცხრილი ზემოთ). ე. ი. ამგვარად განასხვავა მთარგმნელმა ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნები, მაგრამ ამ, ასე ვთქვათ, „ერთგვარ წესს“ არ იყენებს სხვა ფშვინვიერ თანხმოვნებზე, მაგალითად, **ქ** თანხმოვანზე და მას მხოლოდ **k**-თი, აპოსტროფისა და **h**-ის გარეშე, გადმოსცემს ისეთ სახელებში, როგორიცაა: *მელიქ სუხბავი – Melik Surkhavi*, ასევე გამოყენებულია **k** სიტყვა *ქაჯშიც: Kadji*.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ქ. ვივიენის თარგმანიც; მასში თავისებური ვითარებაა ქართულ **თ** თანხმოვანთან დაკავშირებით. კერძოდ, ის მხოლოდ ერთ სახელში, *თამაჩშია* წარმოდგენილი **th**-ის სახით: *Thamar*; დანარჩენ ანთროპონიმებში, რომლებიც **თ**-ს შეიცავენ, მის ეკვივალენტად ინგლისურში ყველგან **t** გვხვდება (იხ. ცხრილი ზემოთ). თუმცა აღსანიშნავია, რომ სხვა ყრუ ფშვინვიერი ბგერა, კერძოდ, **ფ**, ყოველთვის **Ph**-ს სახითაა წარმოდგენილი ისეთ სახელებში, როგორიცაა: *ფახსადანი, ფიდიონი, ფაგმანი* (იხ. ზემოთ ცხრილში).

რ. სტივენსონის თარგმანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ გვიჩვენებს რაიმე განსხვავებულ გრაფიკულ ნიშანს ადამიანთა სახელებში ყრუ ფშვინვიერის ან ყრუ მკვეთრის ინგლისურად გადატანისას. თუმცა მისი თარგმანი იმითია აღსანიშნავი, რომ *ფაგმანის* და *ფაგმან ხათუნის* ნაცვლად, რაც პოემის ორიგინალურ ტექსტსა და ყველა დანარჩენ ინგლისურ თარგმანშია, გვხვდება *ფატიმა* და *ფატიმა ხათუნი* (იხ. ზემოთ).

ამრიგად, წარმოდგენილ მასალაში ჩანს, რომ მთარგმნელებს, მ. უორდროპსა და ქ. ვივიენს, თავისებურად უცდიათ „ვეფხისტყაოსნის“ ანთროპონიმთა ზოგიერთი ბგერის გადატანისას ერთგვარად ეჩ-

1 აპოსტროფის გარეშე და **h**-ის დამატებით **k**-ზე გადმოცემულია **b**, მაგრამ ეს მხოლოდ მ. უორდროპის თარგმანში არ გვხვდება, ქართული **b**, ჩვეულებრივ, ინგლისურში ასე გადმოიცემა და ბუნებრივია, ინგლისურად „ვეფხისტყაოსნის“ ყველა მთარგმნელს შესაბამის საკუთარ სახელებში ასე გადააქვს.

ვენებიანთ ქართულ ყრუ ფშვინვიერთა და ყრუ მკვეთრთა განსხვავება და ამით მეტ-ნაკლებად შეენარჩუნებინათ შესაბამის ორიგინალურ ფორმებთან გარკვეული სიახლოვე, თუმცა მათ მიერ შემოთავაზებული „ერთგვარი წესები“ არაა სისტემურად ბოლომდე გატარებული. ამგვარი ხერხისათვის არ მიუმართავთ ვ. ურუშაძეს, რ. სტივენსონს, ლ. კოფინსა და ჯ. გოსბის, რის გამოც ზემოაღნიშნული ბგერები მათ თარგმანებში არაა განსხვავებულად წარმოდგენილი.

ლიტერატურა:

- რუსთაველი, შ. (1974). „ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ. რედ. ა. ჭინჭარაული, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- Rustaveli, Sh. (1966). “The Man in the Panther’s Skin”, A ROMANTIC EPIC BY Shot’ha Rust’haveli, a close Rendering from the Georgian by MARJORY SCOTT WARDROP with a Preface by Sir Oliver Wardrop (Reprinted from the Original English Edition London 1912). Tbilisi: Publishing House “LITERATURA DA KHELOVNEBA”.
- Rustaveli, Sh. (1977). “The Knight in Panther skin”. A free translation in prose by KATHERINE VIVIAN. London: Published by THE FOLIO SOCIETY.
- Rustaveli, Sh. (1977). “THE LORD OF THE PANTHER-SKIN: A GEORGIAN ROMANCE OF CHIVALRY. Translated by R. H. Stevenson. Albany: State University of New York Press.
- Rustaveli, Sh. (1986). “THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN”, Translated from the Georgian by VENERA URUSHADZE. Illustrated by DUDA GABASHVILI. Tbilisi: Publishing House “SABCHOTA SAKARTVELO”.
- Rustaveli, Sh. (2015). “THE KNIGHT IN THE PANTHER SKIN”: New translation by Lyn Coffin. Tbilisi: POEZIA Press.
- Rustaveli, Sh. (2018). THE MAN IN THE PANTHER’S SKIN. A Condensed Prose Retelling by Avtandil Arabuli. Translated by Geoffrey Gosby. Tbilisi: ARTANUJI PUBLISHING.
- Georgian scripts. (2022, 27 თებერვალი). ვიკიპედია.
https://en.wikipedia.org/wiki/Georgian_scripts

Translations of the epic poem “The Knight in the Panther’s Skin” by the outstanding Georgian poet of the 12th century Shota Rustaveli are of great interest from diverse viewpoints. The given paper analyzes certain issues related to the anthroponyms mentioned in the poem and their English correlates. There are six translations of the poem in English, namely, the translations by Marjory Wardrop, Venera Urushadze, Katharine Vivian, Robert Stevenson and Lyn Coffin. Out of these translations, the closest to the poem is the version of

Marjory Wardrop, although this translation is not poetic. The translations by V. Urushadze and L. Coffin are poetic, and those by K. Vivian and R. Stevenson are prosaic. Besides, there is a prosaic English translation of the contents of “The Knight in the Panther’s Skin” retold by Avtandil Arabuli. This translation is made by Geoffrey Gosby.

The English translations of the anthroponyms from “The Knight in the Panther’s Skin” raise numerous interesting issues. The given paper focuses on one aspect, namely, the transfer of certain Georgian sounds used in proper names.

It is well known that in Georgian the trinary sets of voiceless consonants form two groups: voiceless aspirated consonants and voiceless ejectives. The phonetic difference between these consonants is graphically reflected during their transfer into another language. This difference is vividly reflected in the international phonetic alphabet (IPA), namely:

Voiceless aspirated		Voiceless ejectives	
GEO	IPA	GEO	IPA
გ	/p ^(h) /	ჰ	/p’/
თ	/t ^(h) /	ჲ	/t’/
ც	/ts ^(h) /	ჭ	/ts’/
ჩ	/tʃ ^(h) /	ჭ	/tʃ’/
კ	/k ^(h) /	ჟ	/k’/
		ყ	/q’/

The paper focuses on the anthroponyms containing these consonants with regard to their representation in the English translations of “The Knight in the Panther’s Skin”.

Naturally, a translator is not obliged to stick to phonetical rules and preserve the original sounds of the words when transferring the names of literary characters into his/her native language. However, in this regard, we should note that some of the translators of “The Knight in the Panther’s Skin” have tried to transfer certain anthroponyms using certain methods that would help preserve their original sound to a certain extent. It should be underlined that these translators have used different means to express only voiceless aspirated sounds and not for voiceless ejectives which are specific for Georgian¹; however, the “rules” of representation of voiceless aspirated

1 Voiceless ejectives are usually represented without distinction, by means of corresponding English versions, for instance: the sound ჲ is represented solely by the letter **t**: ტარიელი - *Tariel*, ნესტანი - *Nestan* and so on.

sounds (by means of graphic markers) are not always preserved in the translations.

Thus, we have focused on the anthroponyms containing voiceless aspirated consonants. The table below represents interesting anthroponyms taken from the above-mentioned translations. Aanalysis of these names is given below¹:

M. Wardrop	V. Urushadze	K. Vivian	R. Stevenson	L. Coffin	G. Gosby
Avt' h andil	Avtandil	Avtandil	Avtandil	Avtandil	Avtandil
Asmat' h	Asmat	Asmat	Asmat	Asmat	Asmat
Dilarget' h	Dilarget	Dilarget	Dilarget	Dilarget	
T'h amara	Tamar	Th amar	Tamar	Tamar	
T'hinat'h in	Tinatin	Tinatin	Tinatin	Tinatin	Tinatin
T'h mogveli	Tmogveli	Tmogveli	Tmogveli	Tmogveli	
Rust' h aveli	Rustaveli	Rustaveli / Rust' t veli ²	Rustaveli	Rustaveli	Rustaveli
P'h arsadan	Parsadan	Ph arsadan	Parsadan	Parsadan	Parsadan
P'h atman Khat' h un / P'h atman	Patman Khatun / Patman	Ph atman Khatun / Ph atman	Fatima Khatun / Fatima	Patman Khatun / Patman	Patman
P'h ridoni	Pridon	Ph ridon / Nuradin- Ph ridon	Pridon / Nuradin Pridon	Pridon	Nuradin Pridon
Shavt' h eli	Shavteli	Shavteli	Shavteli	Shavteli	

The Table proves that V. Urushadze, R. Stevenson, L. Coffin and G. Gosby do not use any special markers for the voiceless aspirated sounds found in the anthroponyms of “The Knight in the Panther’s Skin”. The same characters are used to reflect voiceless ejectives. This means that the translators have made no attempts whatsoever to reflect the differences between the sounds.

However, in some translations, the proper names from “The Knight in the Panther’s Skin” are represented differently. In particular, M. Wardrop represents voiceless aspirated sounds **Თ** and **Ი** by adding apostrophe and **h** to

1 The names represented in the table based on J. Gosby’s translation are incomplete. Therefore, several columns are empty. The translation itself is based on a retold story. Hence, it is brief, and certain proper names are omitted.

2 K. Vivian transfers Georgian **Თ** into English with an apostrophe (**t'**) twice, but it could be explained in the following way: It occurs only when K. Vivian uses the reduced form *Rust'**t**veli*, i.e. the apostrophe in this case is due to the reduction, because when the translator writes the whole form *Rustaveli*, she does not use the apostrophe.

the corresponding English sounds: **᠓** – **t'h** and **ფ** – **p'h**. The examples are: *Avt'handil*, *P'harsadan* etc (See the Table above). In this way, the translator differentiates voiceless aspirated consonants. However, she does not apply this “rule” to other aspirated consonants. For instance, the consonant **ქ** is represented as **k**, without apostrophe and **h**. For instance, *მეფე ქ სუხბავი* – *Melik Surkhavi*¹. The grapheme **k** is also used in the word *ქადი*: *Kadji*.

In this regard, mention should also be made of K. Vivian’s translation. This version is peculiar from the viewpoint of representation of the Georgian consonant **᠓**. This consonant is represented by means of **th** only in the proper name *თამარი* – *Thamar*; other anthroponyms containing the sound **᠓** are represented by means of **t** (See the Table above). It should also be noted that another voiceless aspirated sound **ფ** is always represented by means of **Ph** in names like: *ფარსადანი* – *Pharsadan*, *ფრიდონი* – *Phridon*, *ფატიმანი* – *Phatman* (See the Table above).

As we have noted, R. Stevenson’s translation does not make a difference between voiceless aspirated and voiceless ejective sounds. However, this translation is special in the way that, instead of *Phatman* and *Phatman Khatun*, given in the original text of the poem and all the other translations, R. Stevenson mentions *Fatima* and *Fatima Khatun* (See the Table above).

Thus, the analyzed material proves that translators M. Wardrop and K. Vivian tried to illustrate the difference between Georgian voiceless aspirated and voiceless ejective sounds when translating certain anthroponyms from “The Knight in the Panther’s Skin”. In this way, they tried to preserve certain closeness with the original forms. Yet, their “rules” are not systematic i.e. they are not used to the full extent. V. Urushadze, R. Stevenson, L. Coffin and G. Gosby do not make the above-noted distinction; hence, in their translations, the above-mentioned sounds are not represented differently.

Reference:

Rustaveli, Sh. (1974). „Vepkhistqaosani“, saskolo gamotsema, teksti gamosacemad momazada, shesavali da komentari daurto n. natadzem. Redaktori a. chincharauli. [“The Knight in the Panther’s Skin”. School Edition, the text was prepared for publication, the introduction and comments were added by N. Natadze. Edited By A. Chincharauli]. Tbilisi: Publishing House “GANATLEBA”.

1 The addition of **h** to **k** without an apostrophe gives the sound **b** – **kh**, but this is not a peculiarity of M. Wardrop’s translation: the Georgian sound **ბ** is, as a rule, transferred into English in the form of **kh**. Naturally, all the translators of “The Knight in the Panther’s Skin” transfer the proper names countaining the sound **ბ** by use the letter combination **kh**.

- Rustaveli, Sh. (1966). "The Man in the Panther's Skin", A ROMANTIC EPIC BY Shot'ha Rust'haveli, a close Rendering from the Georgian by MARJORY SCOTT WARDROP with a Preface by Sir Oliver Wardrop (Reprinted from the Original English Edition London 1912). Tbilisi: Publishing House "LITERATURA DA KHELOVNEBA".
- Rustaveli, Sh. (1977). "The Knight in Panther skin". A free translation in prose by KATHERINE VIVIAN. London: Published by THE FOLIO SOCIETY.
- Rustaveli, Sh. (1977). "THE LORD OF THE PANTHER-SKIN: A GEORGIAN ROMANCE OF CHIVALRY. Translated by R. H. Stevenson. Albany: State University of New York Press.
- Rustaveli, Sh. (1986). "THE KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN", Translated from the Georgian by VENERA URUSHADZE. Illustrated by DUDA GABASHVILI. Tbilisi: Publishing House "SABCHOTA SAKARTVELO".
- Rustaveli, Sh. (2015). "THE KNIGHT IN THE PANTHER SKIN": New translation by Lyn Coffin. Tbilisi: POEZIA Press.
- Rustaveli, Sh. (2018). THE MAN IN THE PANTHER'S SKIN. A Condensed Prose Retelling by Avtandil Arabuli. Translated by Geoffrey Gosby. Tbilisi: ARTANUJI PUBLISHING.
- Georgian scripts. (2022, 27 February). Wikipedia.
https://en.wikipedia.org/wiki/Georgian_scripts

სახჩევი

Contents

გიორგი გოგოლაშვილი დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა სახელ-გვარები	3
George Gogolashvili David Kldiashvili's Character Names	3
რუსუდან სალინაძე ანთროპონიმები იმერეთის XI-XII საუკუნეთა ეპიგრაფიკაში.....	9
Rusudan Saginadze Anthroponyms in the epigraphy of Imereti of XI-XII centuries.....	9
ქეთევან მარგიანი იალცუნესგა – დალის (კოდორის) ხეობის „შუამდინარეთი“	21
Ketevan Margiani Ialtsunesga – “Mesopotamia“ of Dali (Kodori) Gorge.....	21
გიორგი ქიტოშვილი სოფელ ვაზისუბნის ტოპონიმების სტრუქტურა	29
Giorgi Kitoshvili The Structure of Toponyms of Vazisubani Village	29
გიორგი ჯღარკავა ონომასტიკური მასალა ქართველურ ენათა ანდაზებში: მარკირება და განზოგადება	37
Giorgi Jgharkava Onomastic Material in the Proverbs of Kartvelian Languages: Marking and Generalization.....	37
რამაზ ქურდაძე ანთროპონიმები „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში (ზოგი ყრუ ფშვინვიერი ბგერის შემცველი სახელების მაგალითზე).....	43
Ramaz Kurdadze The Anthroponyms in the English Translations of “The Knight in the Panther’s Skin” (On the Example of Certain Names Containing Voiceless Aspirated Sounds)	43

123Freevectors.com

123Freevectors.com



უნივერსიტეტის
ბამონცეალოზა